

ԱՐԵԴԱՅՈՒԹԻՒՆ ՎԵՐԱԿԵՐՈ ՊԱՇԴՈՒԹՅՈՒՆ



ՔԱՔԱՑՈՒՅԹ

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ



ԵՎՅՈՒՄԻՔ ՀԱՎԱՏՎԱՅՅՈՒՄ ՎՐԱՒԹԱՎԻՄ ՔԱՎԵՐԱՐ



“ԵՎ ԽԸՆԿՐ”

ვასილ ჩიჩერინი



ერი მომდევ
ერი მომდევ
ერი მომდევ
ერი მომდევ

1155295
3



„ნაკადული“, თბილისი, 1974

871
 899.962.1.092(გარა. 6.)
 6 313

სპეც-2000
 შემოსებულის

მიზანის საბაზი

სამწუხაროლ, ჩვენ არ შემოგვიჩენია დიდი ქართველი პოეტის
 ნეკოლოს ბარათაშვილის პორტრეტი.

6. ბარათაშვილის გარდაცვალების შემდეგ ქართველმა საზოგა-
 დო მოღვაწეებმა, მისი შემოქმედების შედევრებმა და თხზულება-
 თა გამომცემლებმა, ბევრჯერ სცენტეს დიდი პოეტის სურათის მი-
 ძღვევა, მავრამ ფერწერობით მანც არა ნაპოვნი დოკუმენტურად
 ჩიტველი გამოსახულება უკვდავი „მერნის“ ავტორისა.

ომის შემდგომ წლებში, სამსახურებრივი მდგრმარეობის გამო,
 სანგრძლივი დროით ვიშკოუებოდი უცხოეთში. საშუალება მქონ-
 და ევროპის ქვეყნების არქივებსა და ბიბლიოთეკებში გაეცნობო-
 დი ქართული კულტურის მასალებს. კისარგებლე ამ მდგრმარეო-
 ბით და შევძელი ზოგიერთი საყურადღებო ცნობა მიმეკვლია ამ
 საკითხთან დაკავშირებით.

წინამდებარე ნარკვევში მიზნად ვისახავ შეძლებისდაგვარად
 შევახსენო მეოთხეელს პოეტის სურათის კოლექცის ისტორია და
 გავაცნო ჩემ შემო მიკელეული მასალები, რომელიც, ვფიქრობ,
 დაინტერესებს ქართული კულტურის ყველა მოჭირნახულეს, გან-
 საკუთრებით ახალგაზრდობას, და რამდენადმე მაინც დაგვეხმარე-
 ბი. დღი პოეტის სურათის ძიებაში.

ვირველი გამოცემა

© „ნაკადული“ 1974

ნიკოლოზ გარათაშვილის სრულის თუმანიშვილისაზე ესპერისტი ესპერისტი


1876 წელს პეტრე უმიქაშვილის ხელმძღვანელობით შპალებოდა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსთა პირეელი გამოცემა.¹ პოეტის პორტრეტი ვერ იძოვეს, გამოცემის ერთ-ერთმა მოთავემ, გიორგი თუმანიშვილმა, სცადა იგი თავისი მამის მიხეილ თუმანიშვილის (1818—1875) არქიეპი მოექებნა (მიხ. თუმანიშვილი ნ. ბარათაშვილის სკოლის მეგობარი იყო). გ. თუმანიშვილმა მირთლაც იძოვა ნახევარი თაბახი სქელი თეთრი ქალალდი, რომელზეც ორი მამაკაცის პორტრეტ-ესკიზი იყო გამოსახული. პორტრეტებს ქვევით მიხ. თუმანიშვილის ხელით ინიციალები ქვენდა მიწერილი: ერთს—„H. B“, მეორეს—„Z. II“. (იხ. სურ. 1 და 2.).

იმ ესკიზის გამო, რომელსაც წარწერილი აქვა „H. B“, გიორგი თუმანიშვილი წერდა:

„პოეტის თანამედროვეებმა სცნეს, რომ მისი (ნიკ. ბარათაშვილის) პორტრეტია, მაგრამ არცთუ ისე მოსწრებული. ანასახი, მათის სიტყვით, მოგვაგონებს უფრო მოუტის ბიძას, გვნერალ თავად იღია ორბელიანს, ვიდრე თვით პოეტსაო. ასე გადმოგვცა ჩეენ თავ. ი. გ. ჭავჭავაძემ, რომელმაც გამოგვართო მამიჩემის ანასახი, რათა პოეტის დისათვის და სხვა ნათესავებისათვის ეჩვენებინა. ანასახი იგი ხელიდან ხელში გადაღიდა და, ბოლოს, დაიკარგა“.

ეს ესკიზი ისევ აღმოაჩინეს 1913 და 1916 წლებს შუა და იმ დროიდან გიორგი მიხეილის ძე თუმანიშვილის დასთან,

¹ იხ. მიხ. ხელთუბნელი, ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების თარიღები, საქართველოს სსრ სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ლიტერატურის მატიანე, წიგნი 1—2, თბილისი, 1940, გვ. 550.



1. 6. ბარათაშვილის პორტრეტის ესკიზი-ჩანახატი, შესრულებული მიხ. თუმანიშვილის მიერ. ორიკინაღი დაცულია საქ. სსრ სანქციონო სელოვნების მუზეუმის ფონდებში.

ანასტასია თუმანიშვილ-წერეთელთან ინახებოდა. ოციან წლებში ანასტასიამ იგი იროდიონ სონდულაშვილს გადასცა, შემდეგ კი ისტორიისა და ეთნოგრაფიის საზოგადოების ფონდების ნაწილთან ერთად მეტების მუზეუმს ჩაბარდა.

ბევრ ავტორიტეტულ პირს სწამდა, რომ „თუმანიშვილი-სეულ ესკიზზე“ ნიკოლოზ ბარათაშვილია გამოსახული, მაგრამ ზოგი მკვლევარი არ იშიარებს ამ პირს. მაგალითად, პ. ინგოროვა წერს:



შ.

2. ჩაქარია ფალავანლიშვილის პორტრეტის ესკიზი-ჩინახატი, შესრულებული შინ. თუმანიშვილის შიერ. ორიგინალი დაცულია საქ. სსრ სახელმწიფო სელოვნების მუზეუმის ფონდებში.

„აშ სურათის დოკუმენტალობა ვერ ჩაითვლება დამტკიცებულად. ბევრი რამ საცილობელია ფანჯრით შესრულებულ ამ დილეტანტურ ესკიზში... „თუმანიშვილის სურათი“ ვერ კიდევ 70-იანი წლების ბოლოს ხელთ ჰქონდა იღია ჭავჭავაძეს, მან ვაიარა ავტორიტეტული ექსპერტისა (იგი ვასინჯეს იღიას მიერ მოწვეულმა პოეტის მომსწრე პირებშა) და ამ სურათს არ მისცეს ვიზა დასაბეჭდად. და ეს მაშინ, როდესაც ბარათაშვილის პორტრეტის ძიებამ უშედეგოდ

ნაიართ და სხვა სურათის მოპოვების იმედი უკუკალიარი იყო".¹

საკითხის გასარჯვეებად ძალიან მნიშვნელოვანია, თუ როგორ აღწერდნენ ნიკოლოზ ბარათაშვილის სახესა და გარეგნობას მისი მასლობლები:

ნ. ბარათაშვილის ლვიძლი და ბარბარე კეჭირიშვილისა: „ნიკო ძალიან მაღაზი, მარდი იყო და მიმზიდველი სახისა. შუათანა ტანის, არც გამხდარი, არც მსუქანი; წაბლისფერი თმა, ბუდეშურად მოყვანილი თვალები; წარბები შეერთებული, წვერ-ულვაშს იპარსავდა. იცვამდა ეკროპულს სამოქალაქო ტანისამოსს“ (იხ. ნ. ბარათაშვილის თხზულებათა 1922 წლის გამოცემა, გვ. 242.).

დიმიტრი ყიფიანი:

„....დაბალ-დაბალი, ჩამკვრივებული (приземистый), ნორა ცხვირიანი (курносенкий), მეტისმეტად ცოცხალი, მხიარული, მოსწრებული“. (დ. ყიფიანის წერილი მიწერილი თავისი შვილის ნიკოლოზისადმი 1865 წლის 5 აპრილს. ინახება საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში).

დიმიტრი ყიფიანის მეუღლე ნინო:

„ნიკო, ვეძახდით მას ტატოს... დაბალი ტანისა იყო, წმინდა სახე და პატარა შავი ულვაშები. თმის ყოველთვის მოკლედ იკრეჭავდა, არ უყვარდა გრძელი თმა, ლაპარაკობდა სხაპასხუბით და ძალიან ცოცხალი იყო“.

„პოეტის და სოფიო (სუმბათაშვილისა) ძალიან პგავდა თავის ძმას ნიკოს, ისე რომ, სოფიოს ულვაშები რომ დაეხატა თავის ტუჩებზე, ვერ გაარჩევდით, ეს მართლა სოფიო არის, თუ ნიკო ბარათაშვილი. Вот уговорите кн. Софию сняться в фотографии, приделайте ей усики и надените ей сюртук и будет у Вас портрет поэта (იხ. ნ. ბარათაშვილის თხზულებათა 1922 წლის გამოცემა, გვ. 245.).

ლუკა ისარლიშვილი:

„(ნიკო) მოთეთრო სახისა იყო, პირსმელი, შავის ცოცხა-

¹ ნ. ბარათაშვილი, თხზულებანი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. თბილისი, 1968, გვ. 12—13.

ლის თვალებით, წაბლისფერი თმით, საშუალო ტანისა და დანართის სისქისა, ხშირი წარმები ერთმანეთთან გადაღობილი პქონდა. მოგრძო თვალები ცხვირისკენ იყო დასრილი. წვერს არ ატარებდა. ხშირად არც ულვაშს. სახე შორიდან შნოიანი, ახლოდან ცოტა დაღმეჭილსა ძველდა. იცვამდა ბუზმენტიან ქულაჯას. საგრძნობლად კოჭლობდა, მაგრამ მაინც ბევრს დარბოლა". (ს. ციციშვილი, ნ. ბარათაშვილის საბიოგრაფიო მასალები, გან. „ლიტერატურული საქართველო“, 1938, № 25.).

კონსტანტინე მამაცაშვილი:

„ნიკო ბარათაშვილი იყო შუათანა ტანისა, ჩინებული ტანადი, ცოტა პირხმელი, ცოცხალი შავის თვალებით, წაბლის-ფერი თმით, სახე საგანგებოდ მიმშილველი, ქართულად რომ იტყვიან, მარილიანი". (იხ. ნ. ბარათაშვილის თხზულებათა 1939 წლის აკად. გამოცემა, გვ. 6.).

როგორც თანამედროვენი გადმოგვცემენ, 1832 წელს, ე. ი. როცა თექვსმეტი წლის იყო, ნიკო „თავისი სიანცისა გამო კიბიდან გადმოვარდა და ორივე ფეხი დაიმტკრია. ბოლოს ყმაწვილი დიდის წამლობით მოარჩინეს, მაგრამ ფეხები სამუდამოდ დაშავებული დარჩა და „შემდეგ ისე მარდად ველარ დადიოდა“.

რაც შეეხება ჩაცმულობას, მისი სკოლის ამხანაგი კონსტანტინე მამაცაშვილი გადმოგვცემს:

„როცა ნიკოლოზ ბარათაშვილი სასწავლებელში იყო ჩემს დროს, იცვამდა ქართულად, როგორც სწავანი იმისი ამხანაგები. მე მასსოვს ნიკოლოზ ბუზმენტით მორთულ ჩოხაში, დიბის ახალოხით, თავზე პატარა ჩაკეცილი ქუდით, ქართულად რომ იტყვიან, კოხტურად ჩაცმული“.

შემდეგ, სამსახურში ყოფნის დროს, ნ. ბარათაშვილი ივრობულად იცვამდა, მაგრამ იშვიათად ქართულ ტანისამოს-საც ატარებდა.

პორტრეტ-ესკიზზე ნიკოლოზ ბარათაშვილს აცვია ევრობული ყაიდის სერთუკი, რომელიც მეტად გავრცელებული იყო იმ დროს აზნაურთა წრეში. იგი აქლემის ბეწვისაგან იკე-


რებოდა. თანამედროვეთა გადმოცემით, ბოლო ხანებში ნიკოლოზი ასეთ სერთუქს ატარებდა და, როგორც ნ. ბარათაშვილის ნეშტის განვიდან გადმოსვენების შესახებ „ივერიაში“ დაბეჭდილი წერილიდან ჩანს, პოეტი ასეთსავე სამოსელში დაუკრძალავთ.

ცნობილია, რომ 70-იან წლებში იღია ჭავჭავაძეს უნახავს ნ. ბარათაშვილის სურათი-დაგეროტიპი პოეტის დასთან — ნინო ბარათაშვილთან. იღიას ეს სურათი წამოუღია და ერთ-ერთი თბილისელი ფოტოგრაფისათვის, გვარად დუბელირის-თვის გადაუცია გასამრავლებლად. მაგრამ სწორედ იმ დღებში ხანძარი გაჩნდა, ეს ფოტოგრაფია გადაიწვა და ბარათაშვილის სურათიც დაიღუპა.¹

ამრიგად, იღია ჭავჭავაძეს ნ. ბარათაშვილის ნამდვილი სურათი უნახავს და მისი აზრი „თუმანიშვილისეული ესკიზის“ შესახებ, რომელსაც ვიორგი თუმანიშვილი გადმოგვცემს („პოეტის თანამედროვეებმა სცნეს, რომ ეს მისი—ნ. ბარათაშვილის — პორტრეტია, მაგრამ არცთუ ისე მოსწრებულიო“), სრულიად სარწმუნოა. ეს ნ. ბარათაშვილის ახლო ნათესავებისა და სხვა თანამედროვეთა განცხადებებითაც დასტურდება.

ამჟამად ეს ესკიზი დაცულია საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმში. მუზეუმის დირექტორის აკადემიკოს შ. ამირანაშვილის ნებართვით და ამს. ქ. ბაგრატიშვილის დახმარებით გაეცანი ამ ესკიზს და განცვიფრებული დავრჩი, ესკიზი „დახატულია“ სქელ, თეთრ ქაღალდზე, რომლის ზომაა 220×180 მმ. ქაღალდზე გამოსახულია საოცრად მცირე ზომის ნაკვთი („ნახატი“): პოეტის სახე არის 15×20 მმ. განცვიფრებას იწვევს ის, რომ ესკიზი ქაღალდზე უადგილო ადგილას ხატია: ქაღალდის სიგანეზე, ესკიზიდან ფურცლის ბოლომდე რჩება 90 მმ, სიმაღლეზე ესკიზიდან ზემოთ — 100 მმ, ხოლო ქვემოთ კი 15 მმ. ესკიზი ნაწვალებადა ჩახატული. რად დასჭირდა მხატვარს ასეთი მცირე ზომის ნაკვთის და-

¹ იბ. „ნიკოლოზ ბარათაშვილი, ლექსები, პოემა, წერილები“, გამომცემებრაცია, თბილისი, 1939, გვ. 5.



3. მიხ. თუმანიშვილის მიერ შესრულებული ნ. ბარათაშვილის ესკიზი,
რომელიც ინახება მწერალ დემნა შენგელაიასთან.



ტანა ამოდენა ქალალდზე? მხატვარი იყო ის თუ ხატვის შეფერი ეარული, მისთვის ბეკრად იოლი იქნებოდა პორტრეტი ნატურიდან უფრო დიდი დაეხატა. მე პირადად არ მინახავს, რომ ვინმეს ნატურიდან ასეთი მცირე ზომის პორტრეტი დაეხატოს. ვიცნობ რა ხაზვის ტექნიკას და მცირე ზომის ნაკვთების ასლის აღების საშუალებებს, მებადება აზრი, რომ ეს ნატურიდან ჩახატული კი არა, მახვილი ცანქრით ფოტოსურათიდან გამჭვირვალე ქალალდზე ამოხაზული ესკიზია, საღაც გადმოტანილია თვალსაჩინო ხაზები (ნაკვთი), ხოლო ფოტოჩრდილები დაკარგულია. ამრიგად, ჩვენი ვარაუდით, მიხეილ თუმანიშვილს, როგორც არაპროფესიონალ მხატვარს, ეს ესკიზი პოეტის დაგეროტიანის ფოტოსურათიდან გადაულია ჯერ გამჭვირვალე, ხოლო შემდეგ სქელ თეთრ ქალალდზე მისი მინისქევმოდან გაშუქებით.

პატარა ესკიზი რომ ფოტოდანაა ამოხაზული, იქიდანაც ჩანს, რომ დაგეროტიანული ფოტოხელოვნების დროს მეტწილად მცირე ზომის ფოტოები მზადდებოდა, არა უმეტეს 9×12 სანტიმეტრისა.

ერთხელ, საუბრისას, თინა გიორგის ასულმა ლეონიძემ გვაცნობა, რომ სხვა ესკიზიც არსებობდა. მოვიკვლიერ იყი და აღმოჩნდა, რომ მიხეილ თუმანიშვილს მეორე ესკიზიც დაუმზადებია, პირველზე თითქმის ორჯერ დიდი, უფრო სრულყოფილი. როგორც ჩანს, ეს ესკიზი გიორგი თუმანიშვილს არავისთვის არ გადაუცია და თავისითვის შეუნახავს ოჯახში. გიორგი თუმანიშვილი (გარდაიცვალა 1920 წელს) ენათესავებოდა იგანე კონსტანტინეს ძე ენიკოლოფაშვილს. გიორგის ეს ესკიზი იგანესთვის გადაუცია, მას კი შემდეგ, თავის მხრივ, მწერალ დემნა შენგელაიასათვის უჩუქნია. დღეს ეს ესკიზი, სათუთად შენახული, ამშვენებს მწერლის სამუშაო ოთახს (იხ. სურ. 3).

ესკიზი წარმოდგენილია 160×220 მმ. ზომის ქალალდზე. ფურცელს მოვლებული აქვს წყვილხაზოვანი ჩარჩო, რომლის შიგნით ფანქრით ჩახატულია პორტრეტის ესკიზი ზომით 65×110 მმ (ჩარჩო სურათზე არ ჩანს).

ეს მეორე ესკიზი პირველის ზუსტი ანასახია, მხოლოდ
მასზე ბევრად უკეთაა შესრულებული. იგი დღემდე არ ყო-
ფილა გამოქვეყნებული. მხატვართა ასრით, ნახატი სრულ
შესატყვისობაშია ნ. ბარათაშვილის ასაკთან (პოეტი 27 წლი-
სა გარდაიცვალა).

ჩვენი ეს ვარაუდი, რომ მიხეილ თუმანიშვილმა პირველი
მცირე ესკიზი ფოტოსურათიდან შეასრულა, ხოლო მეორე,
გადიდებული და შესწორებული, თვითონ დახატა, შეიძლება
დამაჯერებლად შემოწმდეს, თუ მათ სპეციალისტებს გადას-
ცემენ საექსპერტიზოდ.


**თუმანიშვილის მუზეუმის
 ინიციატივით გადამტკიცილის პორტრეტის
 აღდგენის ცდები**

ნ. ბარათაშვილის პორტრეტის აღდგენა პირველად სცადეს 1904 წელს¹, როდესაც უურნალ „მოგზაურის“ რედაქტორია ივანე როსტომაშვილმა თავისი უურნალის ხელის-მომწერთა შორის „ბარათაშვილის პორტრეტი“ გააქრცელა. (იხ. სურ. 4). სურათზე პოეტი წარმოდგენილია ქართულ ეროვნულ ტანისამოსში (რომელსაც, მომსწრეთა სიტყვით, უფრო მოწაფეობაში იცვამდა, ისე კი ყოველთვის სერთუქს ატარებდა), აგრეთვე წვერითა და უკან გადავარცხნილი დიდი თმით, რაც, ჩვეულებრივ, თურმე ისეებ არ სჩევოდა. არც სახის იერი შეესაბამებოდა ბარბარე ვეზირიშვილის, ნინო ყიფიანისა და კონსტანტინე მამაცაშვილის მოგონებებს. გარდა ამისა, ამ სურათზე გამოსახული პოეტი ოდნავადაც არ ჰგავს თავის დას სოფიოს.

ამდენად ამ პორტრეტს საერთო არა აქვს რა პოეტის ნამდვილ გამოსახულებასთან, ამიტომ თავის დროზევე უარყვეს, თუმცა 1929 წელს იგი კვლავ გამოსცა „სახელგამმა“.

1933 წელს „სალიტერატურო გაზეთში“ (№ 17) დაიბეჭდა ქველი სახოგალო მოღვაწისა და მთარგმნელის ივანე ავალიშვილის მოგონება, რომელშიც საუბარია ამ სურათის სადაურობასა და წარმოშობაზე. ამ დოკუმენტში დადგენილია, რომ ეს ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტი კი არია, აღექსანდრე ციციშვილის ფოტოსურათიდან გადაღებული სალია, რომელიც მხატვარმა ტარასი მომცემლიძემ გააქვთა წაქარია ჭიჭინაძის ინიციატივით.

¹ იხ. „ლიტერატურული მატიანე“, წიგნი 1—2, გვ. 440—441 და 554.



4. ბარათაშვილის ყალბი პორტრეტი, რომელიც უფრნიალმა „მოგზაურმა“
გამოიქვეყნა 1904 წელს.

1916 წელს გაზეთ „სახალხო ფურცელში“ (№ 577, 18
მაისი, გვ. 2) ასეთი ცნობა გამოქვეყნდა: „ქართველ ხელო-
ვანთა საზოგადოების გამგეობის კრება 15 მაისს გაიმართა
გ. დ. უშრულის თავმჯდომარეობით. გამგეობამ კრებაზე
დაადგინა: თანახმად ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა
გამომცემელი კომისიის თხოვნისა, დაევალოს მ. თოიძეს,
ა. მრევლიშვილს და ი. ნიკოლაძეს, რათა ამ ერთი კვირის
განმავლობაში ინახულონ განსვენებული პოეტის დაი. მისი

დახმარებით შეაღარონ ბარათაშვილის სურათი, რომელიც დახატა მიხეილ თუმანიშვილმა¹.

მხატვარმა მოსე თოიძემ ინახულა პოეტის და—ავადმყოფი ბარბარე ვეზირიშვილისა (გარდაიცვალა 1919 წ.), რათა გასცნობოდა საგვარეულო ფოტოსურათებსა და დის მოკონებებს ნიკ. ბარათაშვილის პორტრეტის შესაქმნელად.¹ როგორც მ. თოიძე წერს, ბარბარეს ამ ესკიზში თავისი ძმა უცვნია, ხოლო თვითონ მხატვარი განცვიტრებული დარჩენილა ესკიზის მსგავსებით იმ პირებიან, ვისი ფოტოსურათებიც პოეტის დას მისთვის უჩვენებია, და თვით ვეზირიშვილითაც. მას, როგორც მხატვარს, მაშინვე თვალში სცემია საკვირველი ხელოვნება ბუნებისა, რომელმაც სისხლით მონათესავე აღამიანებს დაანათლა საჩის საერთო საგვარეულო ნაკვთები, მაგრამ ამავე დროს შთასახა მათში სულ სხვადასხვა შინაგანი გამომეტყველება.

მხატვარ მოსე თოიძის ნაამბობი (1939 წლის 17 დეკემბრის თარიღით), რომელიც საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში (ფონდი 20106-6) ინახება, ბევრ საყურადღებო ცნობას შეიცავს და მკითხველისთვის საინტერესო იქნება მისი გაცნობა. აი რას წერს იგი (მოგვყავს წერილის მთელი ტექსტი):

„არ მაჩსოვს წელი, მხოლოდ ეს იყო საქართველოს გასაბჭოებამდის, ჩემთან მოვიდა ერთი კარგად ჩაცმული ეკრობულ ტანსაცმელში შავგვრემანი კაცი—ვეზირიშვილი, რომელიც შემეცითხა და რომ გაიგო, რომ მე ვარ მხატვარი მოსე თოიძე, მითხრა: მე ვიცი, რომ თქვენ გეინტერესებათ ნ. ბარათაშვილის პორტრეტის აღდგენის საკითხი, მე შემიძლიან ამაში დაგეხმაროთ და შესაძლებლობა მოგცეთ ადვილად აღადგინოთ მისი პორტრეტით. პაპკიდან ამოიღო ესკიზი, რომელწერაც მითხრა, ყველა ამოწმებს მსგავსებას, მხოლოდ არ არის ღამაზი, უნდა ღამაზი დაიხატოსო. იმას ვინ უყურებს.

¹ ი. საქ. სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის „ლიტერატურის მატიანე“, წიგნი 1—2, თბილისი, 1940. გვ. 553.

გავს თუ არა, როცა ლამაზი არ იქნება, არავის არ მოეწონებათ.

პორტრეტი, დახატული ესკიზის სახით, მე მომეწონა, საკმარისად იყო ხასიათი დაჭრილი, არც ულამაზო იყო, მხოლოდ ვეზირიშვილს არ შეეძლო დაენახა ესკიზში ის საინტერესო ფორმა, რომელიც ამოწმებს ბარათაშვილის მკვეთრ სახეს.

წამობრძანდით, მე გიჩვენებთ ბარათაშვილის დას, რომელიც ისე გვანებია თავის ძმას ნიკოლოზს ბარათაშვილს, როგორც ორი წვეთი წყალი ერთმანეთსო. თქვენ, როგორც მხატვარს, მიუხედავად მისი მოხუცებულობისა და ავადმყოფობისა, შეგიძლიან მისი ნახვის შემდეგ ნიკოლოზის სახე წარმოიდგინოთ და ამ სურათზე გაცილებით უფრო ლამაზი და კარგი დახატოთო. წამიყვანა. მიეკითხ სასტუმროში კარლ მარქესის პატარა ხილსა და ალექსანდროვის ბაღს შორის, ზუბალაშვილის გლეხთა სახლის პირდაპირ.

მეორე სართულზე ერთ ნიმუში მწოდიარე მოხუცი ავადმყოფი ქალი ვნახე.

ვეზირიშვილმა აუსნა, მე ვინ ვიყავი. ახლო დავუჯექი და დაინტერესებულმა დავუწყე ლაბარაკი. მე მეინტერესებოდა მსგავსება ბარათაშვილის გისა და თუმანიშვილის მიერ დახატული ესკიზისა და განცვიფრებაში მოვედი — ის ორიგინალური თავისებურება, რომელიც ესკიზი იყო, პოეტის დის სახეშიც აშკარად ჩანდა. მე მაჩვენეს კიდევ ერთი ნათესავი ახალგაზრდა, მგონი ბარათაშვილის დისტული თუ დის შვილიშვილი, და უფრო მეტად გავიცდი, რომ დავინახე ის თავისებურება, რომელიც მათ საერთო ქონდათ, ნამეტნავად შუბლი, წარბები და თვალების სიღრმე — ღრმად ჩამჯდარი თვალები. მე მთელი კვირა ვხატე, შემდეგ რა იქნა ის სურათი, აღარ მანსონს.

ვეზირიშვილი მევედრებოდა სურათის გალამაზებას — ვინ იცის რამდენი საუკუნის შემდეგ გასინჯავენ, ყველას უნდა, რომ პოეტი ლამაზი იყოსო. აი, პუშკინი, განა ისეთი ლამაზი იყო, როგორსაც ხატავენო. მე შეპყრობილი ვიყავი იმ



5. ნ. ბარათაშვილის პორტრეტი, შესრულებული მხატვარ მოსე თომაძე
მიერ 1916 წელს.

ღრმა გამომეტყველებით და იმ სილამაზითაც, რომელიც სურათისა და პოეტის დის ნახვით მივიღე, მაგრამ ვეზირიშვილს სილამაზე სხვაფრივ ქონდა წარმოდგენილი. მე ვეცადე შტრიხები შემერბილებინა იმდენად, რამდენადაც არ შესცვლიდა სინამდვილეს.

ამ ახლო დროშიც რამდენიმე თვის წინეთ მოიყვანეს ერთი ნათესავთაგანი ბარათაშვილისა მხატვართა ქავშირში გ. ამზიანიძის მეცადინეობით და პირდაპირ გასაოცრად მიმაჩნია ისეთი გვარეული მსგავსება, რომელიც მეც და სხვა მხატვერებმაც დაინახეს თუმანიშვილის ნახატთან. ეს იმიტომ. რომ თვით სახის მოხაზულობა, კონსტრუქცია ძალიან თავისებურია და, ვისაც არ უნდა დაეხატა, მსგავსებას აღვილად მიაღწევდა. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ თუმანიშვილის ნახატი, თუმცა ის პროფესიონალი მხატვარი არ ყოფილა, გვაოცემს თავისებურებით.“

მხატვერებმა მ. თოიძემ და ა. მრევლიშვილმა ქართველ ხელოვანთა საზოგადოების გამგეობის დაეთვისება შეასრულება.

მ. თოიძემ დახატა ნ. ბარათაშვილის სურათი ფერებით (იხ. სურ. 5). პორტრეტს საფუძველად დაედო „თუმანიშვილისეული“ ესკიზი და გამოქვეყნდა გაზეთ „სახალხო ფურცლის“ 1916 წლის 22 მაისის (№ 580) სურათებიან დამატებაში (№ 104).¹ მ. თოიძის მიერ დახატული პორტრეტი ინახებოდა ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისას მის სიკედილამდე— 1932 წლის 7 თებერვლამდე. რა ბედი ეწია შემდეგ ამ პორტრეტს, გამორკვეული არა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გაზეთ „კომუნისტის“ ფოტოკორესპონდენტს, აწ განსვენებულ რუბენ სტეფანეს ქე აკოფორს (რომელიც ათეული წლების მანძილზე მუშაობდა გაზ. „კომუნისტის“ რედაქციაში და მინიჭებული პქნდა საპატიო წოდება საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაյისა) თავის პირად არქივში (რომელიც ერთ-ერთი მდიდარი ფოტოარქივია ჩვენს რესპუბლიკაში, 50 ათასზე მე-


¹ ამ პორტრეტის ფოტოპირები ვნახე ამს. ქ. დ. ბაგრატიშვილის პირად არქივში და მისგან მიეიღო, რისთვისაც მადლობას მოვახისწევ.



6. ნარათაშვილის პორტრეტი, შესრულებული მხატვარ მოსე თოიძის
მიერ (ვამოუქვეყნებელი გარიბანტი)

ტი ექსპონატით), აღმოაჩნდა მხატვარი ირ. თოიძის ნაჩუქარი სურათი. სურათი შესრულებულია მოსე თოიძის მიერ და წარმოადგენს ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტის ერთ-ერთ ვარიანტს (იხ. სურ. 6).

მხატვარი ა. მრევლიშვილის მიერ დახატულ პორტრეტსაც (იხ. სურ. 7) საფუძვლად „თუმანიშვილისეული“ ესკიზი უდევს. ეს პორტრეტიც გამოქვეყნდა გაზეთ „სახალხო ფურცლის“ 1916 წლის 5 ივნისის (№ 591) სურათებიან დამატებაში (№ 106). ამ პორტრეტის ორიგინალი ინახება რუბენ



7. 6. ბარიათაშვილის პორტრეტი, შესრულებული მხატვარ ა. მრევლიშვილის
 მიერ 1916 წელს.

აყოფოვის პირად არქივში, რომელიც იმედიდად მისი ოჯახის
 კუთვნილებას შეადგენს (თბილისი, საიათნოვას ქუჩა, № 16).



8. ნ. ბარათაშვილის პორტრეტი, შესრულებული შატგარ ლადო გუდა-
შვილის მიერ 1938 წელს.

რ. აკოფოვგმა ეს ორიგინალი გვიჩეენა გას. „თბილისის“ რედაქციაში ნიკ. ბარათაშვილის 150 წლის იუბილეს დღე-ებში 1968 წელს, მე და ეურნალისტ დავით მელუხას. აკო-ფოვს ვურჩიეთ, გადაეცა იგი საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმისათვის, მაგრამ არ დაგვეთანხმა, რად-გან ფიქრობდა თავისი ფონდებისაგან მუზეუმის განსხას.

1938 წლის ოქტომბერში, როდესაც ქართველი საწოგა-
დოება თავისი საყვარელი პოეტის დაბადების 120 წლისთავს
აღნიშნავდა, გაზეთებმა — „ლიტერატურულმა საქართვე-
ლომ“ (20 ოქტომბრის ნომერში), „კომუნისტმა“ (24 ოქ-



9. ნ. ბარათაშვილის პორტრეტი, შესრულებული
მხატვარ ი. ქოქიაშვილის მიერ 1938 წელს.

ტომბრის ნომერში), „ზარია ეოსტოკამ“ (22 ოქტომბრის ნომერში) გამოაქვეყნეს საქართველოს სახალხო მხატვრის ლ. გუდიაშვილის, მხატვარ ო. ქოქიაშვილისა და მხატვარ ვ. კროტკოვის მიერ შესრულებული პორტრეტები. ამ პორტრეტებსაც საფუძვლად „თუმანიშვილისეული ესკიზი“ დაუდო (იხ. სურ. 8, 9, 10). სახალხო მხატვარმა ლალო გუდიაშვილმა 1955 წელს შექმნა ნ. ბარათაშვილის კიდევ ერთი ახალი პორტრეტი. ეს პორტრეტი მიიღო სახელმწიფო კომისიამ და სადღეისოდ იგი საყოველთაოდ აღიარებული, პირობითი გამოსახულებაა ჩვენი პოეტისა (იხ. სურ. 11.)



10. 6. ବାନ୍ଦାତାଶ୍ଵେତିଲିଙ୍କ ପଟ୍ଟରପରେତୀ, ଶ୍ରୀମତୀ କୁମାରାଜା ଓ କର୍ତ୍ତାକୁମାର ମହାରାଜାର ମୋରେ 1938 ଫେବୃଆରୀ



11. ନ. ପାଠୀତାମିଶ୍ରଙ୍କାଳୀଙ୍କ ମନୋର୍ଧ୍ଵରେତ୍ରିର, ଶ୍ରେଷ୍ଠଶ୍ରେଷ୍ଠଶ୍ରେଷ୍ଠ ମ୍ହାତ୍ରାର ଲୋକର ପାତାମୁଦ୍ରଣ ଚାରିଲାଙ୍କିଳୀଙ୍କ ମିହର 1955 ଫ୍ରେଲ୍ସ, ମିଲେମ୍ପ୍ରିଣ୍ଟିଂ ସାମଗ୍ରୀକାରୀଙ୍କରେ ପାଇଁ ଉପରେ ଆବଶ୍ୟକ କରାଯାଇଛି।

„თუმანიული სეული ეპიზოდი“
უცნობი ეპუმალარი ლაიფციგზი



1944 წელს, ფიცხელი ომის დროს, ბერლინში ქართულ ენაზე გამოიცა წიგნი — „ქართველი პოეტები“, რომელშიც გამოქვეყნდა ნიკოლოზ ბარათაშვილის გერმანიაში ნაპონი პორტრეტი-ჩანახატი. ამის შესახებ წერილიც დაკბეჭდე განეთ „თბილისში“! მსურდა მკვლევარები ბარათაშვილის ამ პორტრეტსაც გასცნობოდნენ.

1967 წლის აგვისტოში ვიზოვე წევნს თანამემამულეს, მუსიკათმცოდნე ვაჟა გვახარიას, რომელიც მაშინ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მიემგზავრებოდა, ეზრუნა ამ პორტრეტის სამშობლოში ჩამოსატანად.

ვ. გვახარიას მოწადინებულმა ზრუნვამ შედევი გამოიღო და 1967 წლის ნოემბერში მან უცხოეთიდან მიიღო ბერლინში 1944 წელს გამოცემული ქართული წიგნის თავფურცელი და პორტრეტის ფოტოპირი (იხ. სურ. 12 და 13).

ამ პორტრეტის გამო ასეთი გადმოცემა არსებობს: იგი 1943 წელს უპოვია უცნობ ქართველ ლეგიონერს ერთი გერმანელი მწერლის (ნ. ბარათაშვილის თანამედროვეს) პირად არქივში, ლაიფციგში. მას ჩანახატი ბერლინში ჩაუტანია, სადაც იმ დროს ხსენებული წიგნის გამოცემა მზადდებოდა. გამომცემელს ნაპოვნი ესკიზი თავის კრებულში მოუთავსებია.

ამ გერმანელი მწერლის — ნ. ბარათაშვილის თანამედროვის — ვინაობა ჯერჯერობით გაურკვეველია. როგორც ფიქრობენ, იგი უნდა იყოს მწერალი ფრიდრიქ ბოდენშტელტი, რომელმაც გასული საუკუნის შუა წლებში იმოგზაურა სა-

1 იხ. გაზ. „თბილისი“, 1966, 11 აგვისტო. წერილი „პატრიოტული საქმე“.

Georgische Dichter

Zusammengestellt
von
Artschil Metreweli

ქართველი პოეტები

შეკვეთი
თბილისი 2006

BERLIN
TP44

სამართლებრივი
სამსახური

12. 1944 წელს ბერლინში გამოცემული ქართული წეგნის
სატიტულო ფურცელი


ქართველობი. ფ. ბოდენშტედტს მაშინ მასპინძლობდა მიხეილ თუმანიშვილი, რომელიც საქართველოს უცხოეთთან ურთიერთობის საკითხებზე მუშაობდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ესკიზი სწორედ ამ გზით მოხვდა ლაიფციგის არქივში. შეიძლება მიხეილ თუმანიშვილმა სპეციალურად დამზადა ეს ესკიზი თავისი გერმანელი სტუმრისათვის, მითუმეტეს, რომ, როგორც ამბობენ, ესკიზს ნ. ბარათაშვილის ავტოგრაფიც ახლავს. (გადმოცემით ამ პორტრეტის ორიგინალი ამჟამად ინახება გამინჯტონში, გიგო დიასამიძის ოჯახში).

მუსიკათმცოდნე ვაჟა გვახარიას ინიციატივით შემოტანილი სურათი 1967 წლის 3 ნოემბერს წარვუდვინეთ საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის დირექტორს ივ. გაკაბაძეს. მასთან საუბარში გამოირკვა, რომ მუ-



13. ნ. ბარათაშვილის პორტრეტის კავში, გამოქვეყნებული 1944 წელს
ბერლინში გამოცემულ ქართულ წიგნში.

ზეუმის ფონდში ინახება ამ სურათის მსგავსი, ნ. ბარათაშვილის პორტრეტი-ესკიზის ორი სახეობა: ერთი ქულით, მეორე — უქუდოდ; პირველი მათვანი (იხ. სურ 14.) გამო-




14. ნ. ბარათაშვილის პორტრეტის ესკისი, გამოქვეყნებული 1922 წლის აკადემიურ გამოცემაში.

ქვეყნებულა კიდევ 1922 წლის აკადემიურ გამოცემაში, ხოლო მეორე (იხ. სურ. 15.) გამოშევეყნებელია და უცნობ პირთა ფონდებში ინახება.



15. ნ. ბარათაშვილის
პორტრეტი-ესკიზი სა-
ქართველოს ლიტერა-
ტურული მუშეუმის
„უცნობ პირთა“ ფონ-
დებიდან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სა-
არქივო სამმართველოს კინო-ფოტო-ფონო განყოფილების
ფონდებში (ფონდი 1—3271) აღმოჩნდა ნ. ბარათაშვილის
პორტრეტის კიდევ ერთი ესკიზი (იხ. სურ 16.). 1917 წელს.
როდესაც ნ. ბარათაშვილის დაბიდების 100 წლისთავს აღნი-
შნავდნენ, მოსკოვში გამოსცეს შ. ბერიძის მონოგრაფია პოე-
ტის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. მონოგრაფიას
წინ უძღვის უცნობი მხატვრის მიერ შესრულებული სწო-
რედ ეს ესკიზი. გაუგებარია, ჩვენი საარქივო ფონდებიდან
წაიღეს იგი წიგნში მოსათავსებლად თუ, პირიქით, არქივმა
შეიძინა წიგნში გამოქვეყნებული ესკიზის ფოტობირი. საარ-
ქივო მასალებში ამაზე არაფერია ნათქეამი. ერთი ცხადია: ეს
ნახატები იდენტურია და წინა ესკიზებისაგან განსხვავებულ,
დამოუკიდებელ ვარიანტს წარმოადგენს.



16. ନାରୀତାମ୍ବେଲୁଙ୍କ ମହାରାଜୁରେତୀଙ୍କ ଗ୍ରବ୍ୟାନ୍ତିକ ସାହଚର୍ତ୍ତବ୍ୟେଲୁଙ୍କ ଲେଖକ ପ୍ରେନ୍ଟରାଲ୍‌ଟ୍ରେନ୍‌ରେ
ବ୍ୟବସ୍ଥାପନ ଆଧ୍ୟାତ୍ମିକ ପ୍ରକାଶକାରୀଙ୍କ ଦ୍ୱାରା ପ୍ରକାଶିତ ହୈଛି।

ნიკოლოზ ბარათაშვილის სურათი რომის ძართულ კათოლიკურ მონასტერში

6. ბარათაშვილის რამდენიმე დაგეროტიპული სურათი არ-
 სებულა. იქამდე ცნობები გვქონდა სამ მათგანსე: ერთი, რო-
 მელიც ილია ჭავჭავაძეს გადაეცა გამოსაქვეყნებლად და ხან-
 ძარს ემსხვერპლა დუბელირის სახელოსნოში; მეორე, რო-
 მელიც, გრიგოლ ორბელიანის განცხადებით, პქონია ნიკოლო-
 ზის დას, ეკატერინე ერისთავეს, მაგრამ იმთავითვე საჭიროე-
 ბის დროს (1876 წელს) ვეღარ ნახეს, და მესამე, რომელიც
 უურნალისტ ილექსანდრე სივუას უპოვია 1937 წელს თბი-
 ლისის გარეუბანში, გლდანიში. აღ. სიგუას სურდა სურათი
 საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმისათ-
 ვის გადაეცა და მოლაპარაკებია კიდეც მუზეუმის ხელმძღვა-
 ნელობას, მაგრამ იგი ამ დროს (1937 წელს) დააპატიმრეს
 პოლიტიკური ბრილდებით, ხოლო მისი არქივი შინსახკომის
 უწყებამ ჩატარა.

არ არის გამორიცხული, რომ ყოფილ საქართველოს სსრ
 შინსახკომის ცენტრალურ არქივში, ფურნალისტ აღ. სიგუას
 პირად საქმეში, ნ. ბარათაშვილის ეს დაგეროტიპული პორტ-
 რეტი ინახებოდეს.

როცა აღ. სიგუამ ბერლინიდან მიღებული ჩანახატი ნახა,
 განაცხადა: „სულ იმ პორტრეტსა ჰგავს, მე რომ მქონდაო“.

ეს გარემოება კიდევ ერთხელ აღასტერებს „თუმანიშვილი-
 სეული“ ესკიზების სისწორეს და გვავალდებულებს ვეძოთ
 შინსახკომის არქივში „სიგუასეული“ პორტრეტი.

როგორც ირკვევა, გარდა ზემოდასახელებული სამი სუ-
 რათისა, კიდევ ყოფილა ნიკოლოზ ბარათაშვილის მეოთხე
 სურათი-დაგეროტიპი, რომელიც ეკატერინე ჭავჭავაძის

შთამომავალთა მეშვეობით მოხვედრილა პარიზში, იქიდან კი რომში.

იტალიაში მუშაობის დროს (1945—1949 წწ.) რამდენ-ჯერმე შევხვდი და ვესაუბრე ქართველ კათოლიკე მოძღვარს ვატიკანის კარზე — მიხეილ თარხნიშვილს. იგი იყო ცნო-ბილი ქართველობოგი, ქართული დამწერლობისა და კულ-ტურის ძეგლების მკელევარი-ბიბლიოგრაფი, რომელიც გერ-მანულ, ფრანგულ, იტალიურ, ლათინურ და ქართულ ენებზე აქვეყნებდა შრომებს და თანამშრომლობდა ისეთ გამოცემებ-ში, როგორიცაა „მუზეონი“, „კირიოსი“, „აღმოსავლურ ქრი-სტიანული დამწერლობის ძეგლთა კრებული“ და სხვ.

მ. თარხნიშვილი 1940 წლიდე გერმანიაში, მიუნხენში, ცხოვრობდა. 1940 წელს იგი ბრიუსელში გამოიძახა სალომე ღადიანისა და მიურატების ოჯახის ქონების მეურვემ ქართ-ველმა მანდილოსანმა ბარბალე (ვარო) ნიკოლოზის ასულმა ყიფიანმა და წინადაღება მისცა სალომე ღადიანისა და მიუ-რატების ოჯახის ნაანდერძევი სახსრებით (ფულადითა და ნივთიერით) დაეარსებინა რომში (მხოლოდ რომში, ომები-

¹ ბარბალე ნიკოლოზის ასული ყიფიანი იყო შვილიშვილი ცნობილი ქართველი სახოგადო მოღვაწის, ნიკოლოზ ბარათაშვილის უა-ლოესი მეგობრის დიმიტრი ყიფიანისა. დაბადა 1880-იან წლებში. უმაღლესი სამედიცინო განათლება მიიღო ბელგიში. იგი იყო პირვე-ლი ქართველი ფიზიოლოგი ქალი, ფართოდ ცნობილი ევროპის სამედი-ცინო წრეებში, მრავალი მეცნიერეული შრომის აუტორი და საერთაშორი-სო სამედიცინო კონგრესების მრავალგზის მონაწილე, გილდობის კავ-ლერი.

ბარბალე ყიფიანი გარდა სამედიცინო დარგში მოღვაწეობისა, ეწეო-და ქართველი კულტურის ფართო პროპაგანდის ეროვნაში, კოთხელობდა ლექციები: პარიზის, ბრიუსელისა და ვანკუვერის უნივერსიტეტებში. იგი უგ-რადლებას არ აქცებდა ევროპაში მოსწავლე ქართველ ახალგაზრ-დობას და დიდ დახმარებას უწევდა მათ.

რიელი თავისი სიცოცხლის მანძილზე იყო ქართველი კულტურის მო-ჭირნახულე და მოამაგე. დიდი ნდობითა და პატივისცემით სარგებლობდა ქართველ და უცხოელ სახოგადო მოღვაწეთა შორის.

ბარბალე ყიფიანი გარდაიცალა 1965-იან წლებში, ხანდაზმულ ასკეზი და დაკრძალულია ბრიუსელში.

საგან ხელშეუხებელ ქალაქში, რომელიც დაცულია საერთა-
შორისო შეთანხმებით) ქართული კათოლიკური მონასტერი
და თავი მოყვარა იქ ქართული კულტურის მასალებისა და
ძეგლებისათვის მსოფლიოს სხვადასხვა არქივებიდან.

მ. თარხნიშვილმა მიიღო მნიშვნელოვანი თანხა და სალო-
მე დადიან-მიურატის ოვანის არქივი: ნივთები, დოკუმენტები
და ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან მიმოწერის მასალები.

ამის შემდეგ მ. თარხნიშვილს რომში, ფორლანინის მთის
კალთაზე, ალექსანდრე ბრიზეს ქუჩაზე, № 27, შეუძენია სა-
მონასტრო შენობა¹ და აქ გადმოუტანია ყიფიანის ქვრივისა-
გან მიღებული ნივთები და დოკუმენტები, აგრეთვე მასალები
კონსტანტინოპოლის ქართული კათოლიკური მონასტრიდან
და სხვა ქალაქებიდან, თვითონ კი ამ მონასტრის რექტორად
დამდგარა.

როდესაც ომი დაწყებულა, ამ მასალების ძვირფასი და
მნიშვნელოვანი ნაწილი ვატიკანის უნიფათო კარადებში გა-
დაუტანია შესანახად.

1943 წელს, როდესაც იტალიის მთავრობა ორად გაიყო
და ძალაუფლება ჩრდილოეთ იტალიაში მყსოლინის მარიო-
ნეტული ფაშისტური მთავრობის ხელში დარჩა, ხოლო სამხ-
რეთში მეფე ვიქტორ ემანუელ III-ის მონარქიული მთავ-
რობა გაბატონიდა, — მარიონეტული მთავრობის დაწვერეამ
სამხრეთში (რომში) შეაგზავნა ჯაშუში—ვინმე სეფიაშვი-
ლი—და დავალა ანტისაბჭოთა რაღიოგადაცემების მოწყობა
საქართველოსათვის.

¹ ამ შენობის ზუსტი მისამართია: Casa Giorgiani via Alessandro Brise
27, Forlanini, Roma. (იტალია, რომი — ფორლანინი, ალექსანდრე ბრიზეს
ქუჩა № 27, ქართველთა სახლი).

შენობა მდებარეობს ქ. რომის გარეუბანში, ფორლანინის მთის კალ-
თაზე. რომლის მახლობლად მოთავსებულია ტებერეულოზეურ და-
ვალებათა სამკურნალო საერთაშორისო მნიშვნელობის სანატორიუმი
„ფორლანინი“, მშეენერი შემოგარენით.

შენობა მის. თარხნიშვილის სიცოცხლეში განკუთვნილი იყო ქართულ-
კათოლიკურ სასულიერო სემინარიად.

სეფიაშვილი ქართულ მონასტერში მიეღიდა და მ. თარხნიშვილი შეიღს სთხოვა, თავშესაფარი მიეცა მისთვის. თავი მებაღედ გაასაღა და მონასტრის ბაღის მოვლის სურვილი გამოთქვა. მოძღვარმა მ. თარხნიშვილმა იგი შეიწყალა, მონასტრის შენობის ქვედა სართულში მიუჩინა ბიჩა და ბაღიც ჩააბარა.

სეფიაშვილმა თარხნიშვილისაგან მაღულიად შენობის სარდაფში რადიოგადაცემის პუნქტი მოაწყო, გაიყვანა ავტერე სათადარიგო ხვრელი, რათა ჩაგრდნის შემთხვევაში გაძარულიყო, და შეუდგა „მებაღეობას“. იგი სადაზვერვო ცენტრიდან დავაღებებს ღებულობდა და საქართველოსთვის ანტისაბჭოთა რადიოგადაცემებს აწყობდა.

როდესაც ინგლისის ჯარებმა რომი დაიკავეს, სეფიაშვილი ცენტრის დავაღებით კვლავ განაგრძობდა გადაცემებს. ინგლისელებმა დაიჭირეს რადიოტალღები. იალტის ხელშეკრულებით ისინი მოვალენი იყვნენ თავიანთ ზონაში შეეძყროთ ანტისაბჭოთა კონსპირატორი. სათანადო რადიოაბარატურით მიაგნეს კიდეც რადიოგადაცემის პუნქტს, მავრამ სეფიაშვილი სათადარიგო ხვრელიდან გაეპარათ და ხელში შერჩათ ქართული მონასტრის რექტორი—მოძღვარი მის. თარხნიშვილი, რომელიც ამაოდ იფიცებოდა, რადიოპუნქტისა და გადაცემებისა არა ვიცი-რაო.¹

მის. თარხნიშვილი შეიძყრეს და დახყრეტის უბირებდნენ. სიკედილის წინ მან მოითხოვა, რომის პაპისათვის ეცნობებინათ მისი ამბავი, განაცხადა —პაპის მრჩეველი ვარ, საკულესით საქმეები მაბარია და აუცილებელია სხვას გადავაბაროთ. მოძღვრის თხოვნა შეიწყნარეს, მისი ამბავი აცნობეს რომის პაპს—პიო XII-ს, რომელიც პაპად არჩევამდე კარდინალი იყო ბერლინში და კარგად იცნობდა მის. თარხნიშვილს ჯერ კიდევ მისი მიუნხენში მუშაობის დროიდან.

პაპმა ინგლისის სარდლობას სთხოვა მისთვის გადაეცათ თარხნიშვილი და აღუთქვა, რომ თვითონ დააღებდა სათანადო სასჯელს.

1 საეჭვოა, მ. თარხნიშვილს არ სცოდნოდა, რა ხდებოდა მისადმი დაქვემდებარებულ სასულიერო სემინარიაში.

სარდლობამ პაპის თხოვნა დააკმაყოფილა და პატიმარი მოძღვარი ვატიკანის პოლიციას გადასცა. პაპმა ამ შეცოდებისთვის თარხნიშვილი ხუთი წლით გაამწესა სალხინებელში, სანჯეროლანოს მონასტერში (სამონასტრო საბატიმრო რომში, ვატიკანის გალავნის უკან).

ამრივად, მის. თარხნიშვილი ბედზე გადარჩა დახვრეტას, ქართული მონასტერი კი უპატრონოდ დარჩა, ძვირფასი მასალები და ნივთები ვატიკანში გადაიტანეს, მონასტრის შენობის მეორე და მესამე სართული დაკეტეს, ხოლო პირველი სართული ხუთი წლით მიაქირავეს ვიღაც ფარმაცევტს, რომელსაც მონასტრის მოვლაც ევალებოდა.

საინტერესოა, რომ ქართული მონასტერი შემთხვევით არ დაუქირავებია იტალიელ ფარმაცევტს. თარხნიშვილმა აი რა ლეგენდა მიამბო ამის თაობაზე:

როდესაც იტალიელი ხალხის საამაყო გმირი გარიბალდი მძიმედ დაიჭრა ფეხში, იტალიელმა ლოსტაქრებმა ვერ შეძლეს მისი განკურნება. უკვე იმასაც ფიქრობდნენ, რომ გარიბალდისთვის ფეხი მოეკვეთათ. ამ დროს ერთ იტალიელს მოაგონდა უებარი მაღამოებით ცნობილი ქართველი მკურნალი თურმანიძე. მაშინვე გამოითხოვეს იგი საქართველოდან თავისი წამლებითურთ. მკურნალს ავადმყოფი მძიმე მდგომარეობაში დახვდა: ფეხი ლაპობამდე იყო მისული. იგი გულმოლვინელ შეუდგა მკურნალობას ქართული წამლებით. მალე ავადმყოფს უკეთესობა დაეტყო. ცოტა ხანში გარიბალდი მთლად განიკურნა. მოსაკვეთი ფეხი გაცოცხლდა. მკურნალი ავადმყოფს გამოჯანმრთელებამდე არ მოსცილებია.

განკურნებულმა და ქართველი ექიმისაგან დიდად დავალებულმა გარიბალდიმ მკურნალი ხალხს წარუდგინა. ტრიალ მინდორზე გაუშეა უბელო ცხენი, გამოკიდა, დაეწია, მოახტა და კვლავ ამხედრებულმა ხალხს ჩამოუარა. ამით ყველას აჩვენა, რომ ფეხი სრულიად განკურნებოდა. დამსწრეთა გაოცებასა და სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. მკურნალი ხელში აიტაცეს და ისე ჩამოატარეს ხალხის წინ. დიდადი საჩუქრებით გამოისტუმრეს სამშობლოში.

ამ დროიდან იტალიელ ხალხში არის ჩწმენა, რომ ქართული წამილი სასწაულებრივია, ქართველი მკურნალი—სასწაულმოქმედი. ამიტომ მათში დარჩა ტრადიცია, თუ ქართველ ექიმს შეხვდებოდნენ, სამოსლის კალთას აუკრეფდნენ და ზედ ეამბორებოდნენ.

დარიბშა იტალიელმა ფარმაცევტმა იცოდა ქართული მალამოს სასწაულებრიობის ამბავი, იქირავა ქართული მონასტერი და ხმა დაარჩია, თითქოს იქ ქართული რეცეპტურით შზადდებოდა წამილი, დიდალი მუშტარი მოიზიდა და მაღევ გამდიდრდა.

მ. თარხნიშვილმა ისიც აღნიშნა, რომ იტალიის არქივებში დაცული VI—VII საუკუნეთა ტრაქტატების მიხედვით შორეულ წარსულში საქართველოდან უცხოეთში ბლობად გაშეონდათ სამკურნალო საშუალებები, წამლის ნედლეული; სხვადასხვა ბალახები, ყვაეილები, ფოთლები, მცენარის ფესვები, თესლები და სხვ.

ერთხელ, როდესაც ლაპარაკი ჩამოვარდა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლიფციგში ნაპოვნ პორტრეტზე, მ. თარხნიშვილმა მითხრა: „როგორც ვიცი, ჩეენცა გვაქვს მონასტრის ფონდებში ნიკოლოზ ბარათაშვილის ნამდვილი პორტრეტი სალომე დადიან-მიურატების ოჯახში ნაქონი, ძველი ფოტოგრაფიული წესით დამზადებული; სურათი პოეტის გარდაცვალებამდე ორი-სამი წლით ადრე უნდა იყოს გადაღებული. ახლა ის ძვირფას ნივთებთან და წერილებთან ერთად ვატიკანში გვაქვს; როცა საშუალება მექნება, გამოვიტან და, თუ გაინტერესებთ, გაჩვენებთ“.

სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ ვერ ვნახეთ ეს პორტრეტი; მონასტრის ფონდები მოუწესრიგებელი იყო. მისი დალაგება მ. თარხნიშვილის გარდა არვის შეეძლო, იგი კი მეტ დროს მეცნიერულ მუშაობას ანდომებდა.

ამდენად, მ. თარხნიშვილის ეს განცხადება ნ. ბარათაშვილის პორტრეტის სალომე დადიანისა და მიურატების ოჯახში არსებობის შესახებ საგულისხმოა და, ვფიქრობ, უსარგებლო არ იქნება, გადაიდგას ნაბიჯები ამ მნიშვნელოვანი პორტრე-

ტის მოსაქვლეევად რომში ქართული კათოლიკური მონასტრის, აგრეთვე რუსიკუმისა (რუს კათოლიკეთა მონასტერი რომში ნაპოლეონ III-ის ქუჩაზე, სადაც თარხნიშვილი მოღვაწეობდა), და ვატიკანის ფონდებში.

როგორც ცნობილია, სალომე დადიანის დედის—ეკატერინე ჭავჭავაძის სახე ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური ფიქრის შთამიგონებული იყო. მართალია, ამ ულამაზესმა, განათლებულმა, დიდად კულტურულმა არისტოკრატმა ქალმა სამეგრელოს სამთავროს დედოფლობა არჩია, მაგრამ იგი ზოლომდე სათუთად ინახავდა პოეტის ლექსებსა და წერილებს. ამდენად, ეკატერინეს შთამომავალთა არქივში, შთამომავალთა, რომლებიც საფრანგეთის მკვიდრნი გახდნენ მიურატების ოჯახის სახით, მნიშვნელოვანი დოკუმენტების არსებობა უნდა ვივარიაუდოთ.

ანგარიში უნდა გაეწიოს ერთ გარემოებასაც: რაკი სალომე დადიანისა და მიურატების ოჯახში ნ. ბარათაშვილის დაუკროტიმის სურათი პქონდათ, სრულიად შესაძლებელია, რომ შემდეგ—იაფი ფოტოხელოვნების შემოღებისა—ქართული კულტურის მოყვარულებმა ამ დაგეროტიმიდან გადაიდეს და გაავრცელეს თავიანთ ოჯახებში ნიკოლოზის სურათი.

ასეთ ოჯახებად მიმაჩნია:

პარიზში — აშილ მიურატისა, სალომე დადიანის შთამომავალისა;

პარიზში — რატიევასი (ნ. ბარათაშვილის დისტულის—გიორგი ვასილის ძე სუმბათაშვილის —ქალიშვილი);

რომში — მარინე მიხეილის ასულ მაჩაბელი-ტრანზონისა;

შილანში — ელენე იოსების ასულ თარხანოვა-დიდმოურავისა (დიდი მუსიკათმცოდნე და პედაგოგი იტალიის მუსიკალურ სამყაროში);

მილანში — პროფ. ანა ჯაყელისა (მუსიკის პედაგოგი);

შილანში — ინე. მიხეილ გრიგოლის ძე ყაუხჩიშვილისა (თვითონ გარდაცვლილია);

რომში — გრაფ უგო პასკუინის ოჯახი, რომელიც სიძით ენა-
თესავება ქართველებს და აქვს ერთ-ერთი დიდი
ქართული ბიბლიოთეკა უცხოეთში; გრაფი უგო
პასკუინი დიდ ფასად იძენს უნიკალურ ქართულ
ნივთებს.

რომში — მოძღვარ რაფიელ ივანიცკი-ინგილის ფონდებში.

რ. ივანიცკი-ინგილი რომში ცხოვრობდა 1924 —
1948 წწ. ეწეოდა სამოქალაქო ცხოვრებას, მუ-
შაობდა ხელოვნების დარგში. მისგანაც შევიტყვა,
რომ იტალიის არქივებში დიდმნიშვნელოვანი მა-
სალებია საქართველოს კულტურის საკითხებზე,
უძველესი დროიდან მომავალი, მაგრამ, სამწუხა-
როდ, დღემდე შეუსწავლელია; რომ დიდძალი სა-
განძური შემოიტანეს კათოლიკებმა რომში 1940 —
1942 წწ. დადიანი-მიურატების ფონდებიდან.

1948 წ. რ. ივანიცკი-ინგილო პარიზში ეკურ-
თხა მართლმადიდებელ მოძღვრად და საეკლესიო
სამსახური დაიწყო ესპანეთში, მაღრიდში, ძართლ-
მადიდებლურ ეკლესიაში; იყო ეკლესიის რექტო-
რი, გარდაიცვალა 1966 წლს, 80 წლის ასაკში.
მაღრიდში, ესპანეთში გამგზავრების წინ მთელი
თავისი მდიდარი ბიბლიოთეკის ფონდი გადასცა
რომში „რუსიკუმის“ მონასტერს.

ვაშინგტონში — უურნალისტ გიგო დიასამიძის ოჯახი.

ბელგიაში — ბარათაშვილის ახლო მეგობრის, დიმიტრი ყიფი-
ანის ვაჟიშვილის, ნიკოლოზისა (მან მთელი თავი-
სი სიცოცხლე ბელგიაში გაატარა, ხოლო მისი
შთამომავალი, ბარბალე (ვართ) ყიფიანი, ბრიუ-
სელში ცხოვრობდა).

უცხოელი მეცნიერ-ქართველოლოგები — მაგალითად, დაქ-
ტორი ასფალგი — პატრი, მის. თარხნიშვილის
მეგობარი და თანამოკალმე და სხვები.

თუმცა საკითხს არ ეხება, მაგრამ, ვფიქრობ, ინტერესს
მოკლებული არ იქნება, თუ მკითხველს მივაწვდით საყურად-



დებო ცნობას: მ. თარხნიშვილს ჩვენთან საუბარში ბევრ ჯერ უთქვამს, რომ იტალიის ძირითად არქივებში—ვატიკანის, „პროპაგანდა ფიდეს“, კაბუცინელთა ორდენის, დომინიკელებისა და თიათინელთა არქივებში—დაცულია მნიშვნელოვანი მასალები საქართველოს შესახებ, რომლებიც შეიცვავენ:

ცნობებს ძველ საქართველოშე, სახელობრ V-VI-VII საუკუნეებში საქართველოს სამთავროებსა და რომის იმპერატორებს შორის დაღებულ ტრაქტატებს, ძველ ქართულ იტალიურ და ლათინურ ენებზე;

საქართველოს მეფე-მთავრების, პატრიარქებისა და სახელმწიფო მოღვაწეთა მიმოწერას რომის პაპებთან.

მიმოწერას საქართველოში მყოფ კათოლიკე მისიონერებსა და „პროპაგანდა ფიდეს“ შორის საქართველოსა და მისი ისტორიის შესახებ;

ცნობებს ტორე დელ გრეკოს მონასტერში დაცული ქართული ხელნაწერი წიგნების (13 ცალი) შესახებ;

ცნობებს მე-12 საუკუნის საქართველოშე (რეინდლის თხზულებებიდან—1475 წ.);

მასალებს ქართლის მეფე ვახტანგ VI-ის შესახებ და მის წერილებს ავსტრიის იმპერატორთან (1722 წ.);

ცნობებს ნიკიფორე ირბახზე (ნ. ჩოლოყაშვილზე), რომელიც საქართველოს მეფემ თემურას I-მა წარგზავნა რომში ელჩად 1626—1628 წლებში, და სულხან-საბა თრბელიანის იტალიაში მოგზაურობისა და საქმიანობის შესახებ.

საქართველოში ნაშეოფი კათოლიკე მისიონერის ქრისტეფორე კასტელის ჩანახატების ვრცელ აღმომს (127 სურათ) საქართველოს ცხოვრებიდან;

ცნობებს ქეთევან დედოფლის წამების შესახებ;

პიელრო დელა ვალეს ნარკვევებს საქართველოშე;

ცნობებს პირველ ქართულ ნაბეჭდ წიგნზე;

არის ვარაუდები, რომ რომის პაპის პირად ბიბლიოთეკაში უნდა იყოს „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალთან უახლოესი ვადანაწერები;

ვატიკანის ფონდში უნდა ინახებოდეს შ. რუსთაველისა და ძველი საქართველოს სახელმწიფო მოღვაწეთა პორტრეტები. ძეგე უნდა იყოს ვატიკანის მიერ სპარსელი და ოურქი კო-მერსანტებისაგან შეძენილი სხვადასხვა ძვირფასი ნივთი, რომლებიც მტრის შემოსევების დროს გაუტაცნიათ საქართველოდან.

ამ ფონდშივე უნდა იყოს ცნობები საქართველოს ძველი სამართლის დებულებების (კოდექსების) გამოყენების შესახებ სხვა სახელმწიფოთა იმპერატორების მიერ.

ორი „უცნობის“ სრათი გარათაშვილებისა და ორგანიზაციის საოჯახო კოლეგიიდან

მას შემდეგ, რაც „თუმანიშვილისეული“ და სწავლა ჩანახატებით წარმოდგენა შეგვექმნა ნ. ბარათაშვილის საეპისკოპოსის პორტრეტზე, გავარჩიეთ საქართველოს სისხლმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ფონდებში დაცული უცნობ პირთა პორტრეტები ბარათაშვილებისა და ორბელიანების ოვახეზიდან.¹

ამ ფონდებში ვნახეთ ნ. ბარათაშვილის ბიძის (დედის ქმის) ილია ორბელიანის პორტრეტი, რომელსაც თანამედროვენი ძლიერ ამსგავსებენ ნიკოლოზს. ამ პორტრეტის შედარება ნიკოლოზის პორტრეტ-ესკისთან და განსაკუთრებით უქუდო ჩანახატებთან დიდ ურთიერთმსგავსებას იძლევა და ესკიზის სინამდვილეს ადასტურებს. აქვე ვნახეთ სრულყოფილი პორტრეტები ნიკოლოზის დებისა — ნინოსი და სოფიოსი, რომლებიც აგრეთვე ძალაში ჰგავდნენ ნიკოლოზს, განსაკუთრებით სოფიო სუმბათაშვილისა (იხ. სურ. 17). მისი შეიღი კი, გიორგი სუმბათაშვილი, ზედმიწევნით ჰგავდა დედა (იხ. სურ. 18).

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ამ საოჯახო ფონდებიდან უცნობ პირთა ორი სურათი: ერთი ახალგაზრდისა, რომელიც ყავარჯენს ებჯინება და უუღეაშოა (იხ. სურ. 19 და 20) და მეორე — შედარებით ხნიერი ულეაშიანი პირისა, რომელსაც ეკროპულად აცვია (იხ. სურ. 21).

¹ ამ საქმეში დიდი პატივი დაგვდეს მუზეუმის დირექტორმა ივ. კაკაბაძემ, მისმა მოადგილემ გ. ებრალიძემ და იუნიკრაფიული ფონდების გამგებ დ. შელლიაშვილმა, რისთვისაც მათ დიდ მაღლობას მოვახსენებ.



17. ნ. ბარათაშვილის დის — ხოფით სუმბათაშვილის პორტრეტი.

თუ კარგად გავითვალისწინებთ, როგორ აღწერენ ნ. ბარათაშვილის სახესა და აღნაგობას მისი ანდობლები და ნათესავები და ყურადღებას გავამახვილებთ, ერთი მხრივ, იმაზე, რომ ნიკოლოზმა 16 წლის ასაკში დაიშავა ფეხები და რიმდენიმე წელს ყავარჯისთ დაღიოდა, ხოლო, მეორე მხრივ, იმაზე, რომ „უცნობი ახლოგაზრდის“ სურათი, რომელიც 18—



18. ଶବ୍ଦରୁଦ୍ଧ ନ୍ୟୂମିନାମ୍ବୋଲିଙ୍ (ପ୍ରୟୋତ୍ତିଳେ ଡାସିର୍ହେଲିଙ୍) ପାଇଁ ଶରୀରରେ ଥିଲା.

19 წლის ჭაბუკის ასახავს, ბარათაშვილებისა და ორბელიანების თვალით გამოსახული უნდა იყოს ჭაბუკი პოეტი. ეს ვარაუდი ჯერ კიდევ ჩვენმა საამიყო პოეტმა, ამ განსვენებულმა გიორგი ლეონიძემ გამოთქვა, როდესაც ის ლიტერატურის მუზეუმის დირექტორი იყო. მან ბევრი იმუშავა ამ საკითხის დასადგენად. არქივებში გ. ლეონიძემ იძოვა პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის „უცნობ ახალგაზრდას“. მეც ვინახულე ლიტერატურის მუზეუმისა და საქართველოს სახელმწიფო არქივის ფონდებში ეს სურათები. მართალია მათზე აღმეტდილი პირი თითქოს წააგავს „უცნობ ახალგაზრდას“, მაგრამ ხელაღებით მათ იღენტურობაზე ლაპარაკი ძნელია, რადგან მე-19 სურათზე წარმოდგენილია მართლაც პოეტური გარევნობის ადამიანი, ხოლო ალექსანდრე ლავითის ძე ჭავჭავაძე იმავე ასაკის სხვა სურათებში პოეტური სრულებით არ არის. რაც შეეხება ყავარჯენს, არაფრიდან არა ჩანს, რომ ალექსანდრეს მისი ტარების საჭიროება ჰქონოდა.

ამდენად, მე-19 სურათზე გამოსახული პიროვნების ვინაობა ჯერ კიდევ საძიებელია. ვარაუდით იგი ნიკოლოზ ბარათაშვილი უნდა იყოს.

მეორე, გაცილებით ხნიერი „უცნობი პირის“ პორტრეტი ლიტერატურულ მუზეუმში მიიტანა იურისტმა კონსტანტინე ივანეს ძე ბარათაშვილმა 1946 წლის 11 სექტემბერს. სურათი მცირე ზომისაა (ოვალი— 47×60 მმ, თვით ფოტო — 30×46 მმ, სახე — 12×16 მმ.)


„უცნობი პირის“ სურათმა მაშინვე მიიპყრო მუზეუმის ყოფილი დირექტორის, ამ განსვენებულ გიორგი ლეონიძისა და სხვათა ყურადღება. სურათის გარშემო მსჯელობა ყოფილა საქართველოს სახელმწიფო არქივშიც. ბევრს მიაჩნდა, რომ ამ სურათზე ნიკოლოზ ბარათაშვილია გამოსახული, მაგრამ იმის გამო, რომ მრავალი მნიშვნელოვანი გარემოება საეჭვოდ ხდიდა ამ ვერსიას, ეს ამბავი პრესაში არ გაუცხადებიათ.



19. ნ. ბარათაშვილის ჭაბუკობის პერიოდის საუარაულო პორტრეტი.



20. 6. බාරිතාම්පොලයිස් සිංහලුගුරුමධීස් මුද්‍රණයෙන් තැවක්‍රියාත්මක නොවූ ප්‍රතිච්ඡලයි.



21. „უცნობი პირის“ პორტრეტი, შემოხული საქართველოს ლიტერატურული მუზეუმის ფონდებში 1941 წელს, კონსტანტინე ივანეს ძე ბარათაშვილის საოჯახო არქივიდან.

უნდა ითქვას, რომ ამ „უცნობ პირს“ მართლაც საგრძნობი მსგავსება აქვს ნ. ბარათაშვილის იმ აღწერილობასთან, რომელსაც პოეტის მახლობლები გადმოგვცემენ (ნოდა ცხვირი, ბუდეშური თვალები, გადაბმული წარბები, ტანჩაცმულობა). ძალიან პგავს იგი პოეტის დას, სოფიოს და ბიძის, ილია ორბელიანს.

ამავე დროს ეს სურათი მეტად მნიშვნელოვან ეჭვებსაც აღძრავს:

— ერთი შეხედვით „უცნობი“ ქართველს არა პგავს; იგი უფრო პოლონელს, რუსს ან ლატვიელს მოგვაგონებს, მაშინ, როდესაც თუმანიშვილისეულ ესკიზზე უდავოდ ქართული ტიპია გამოსახული;

— „უცნობი პირი“ საკმაოდ ხნიერი მოჩანს, 40—45 წლისა მაიც, ბარათაშვილი კი 27 წლისა გარდაიცვალა. მართალია, ულვაშები კაცს წლოვანებას პმატებს, მაგრამ არც იმდენად, რომ 27 წლის კაცი 40—45 წლისას დაამსგავსოს;

— „უცნობს“ ფართე, სწორი შუბლი აქვს (რაც მსგავსების დასადგენად დიდმნიშვნელოვანი დეტალია), ხოლო ნიკოლოზს ყველა ესკიზში გადაქანებული მრგვალი შუბლი უჩანს. ამაში კიდევ უფრო დავრწმუნდებით, თუ ნ. ბარათაშვილის თავის ქალას დაგვაკვირდებით (იხ. სურ 22.);

— თუ ამ პორტრეტზე ნ. ბარათაშვილია გამოსახული, იგი უშუალოდ ნატურიდან არ არის გადაღებული, რადგან ჩვენში 1845 წელს ფოტოსტელოვნება ჯერ კიდევ არ არსებობდა, იგი პირველად 1849 წელს შემოვიდა.

ამ ვარაუდებით არ დაეკმაყოფილდით და „უცნობი პირის“ ეინაობის დასაზუსტებლად თვით კონსტანტინე ივანეს ძე ბარათაშვილი ვინახულეთ. აი რა გვიამბო მან:

„ოჯახში ბევრი სურათი გვქონდა ბარათაშვილებისა და ორბელიანების გვარეულობიდან. მე და ჩემი ძმა—ღიმიტრი¹ იურისტები ვართ. ისინი ჩვენ არ დაგვჭირდებოდა და გადაუ-

¹ ღიმიტრი ივანეს ძე ბარათაშვილი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, ცხოვრობს მოსკოვში, მუშაობს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში, საერთაშორისო სამართლის სკეტორში. მისამართია: მოსკოვი, ჩისტი პრუდი, 12, კორპუსი 2, ბინა 60:



22. ସାହାତାର୍ଜୁଗୁଡ଼ିଳିର ନିରନ୍ତିରି.

წყვიტეთ მუზეუმისათვის გადაგვეცა. 1946 წლის შემოდგომაზე 27 სურათი ჩავაბარე მუზეუმს. პორტრეტებს ეწერდნენ მათზე გამოსახულ პირთა ვინაობა, ამ სურათზე კი წარწერა არ იყო. იგი ყოველთვის ცალკე ინახებოდა წევნი თჯახის საპატიო წიგნში — „ეფენისტყაოსნის“ ქართველიშვილისეულ გამოცემაში. როდესაც ვინმე ამ „ეფენისტყაოსნის“ პითხვის დაიწყებდა, დედახემი სურათს და მასთან მდებარე მცენარის გამხმარ ფოთოლს ამოიღებდა, საგანგებოდ შეინახავდა და მერე ისევ „ვეფხისტყაოსანშივე“ ჩადებდა. ამრიგად, ამ სურათს ძალიან სათუთად და მხრუნველად ინახავდნენ, როგორც ბებიახემი — ბაბალე ნოლოყაშვილი-ბარათაშვილისა (მეტსახელად ეძახდნენ „პრელესტ ბაბალეს“), ისე დედახემი — მარგალიტა პეტრეს ასული ანდრესონი-ბარათაშვილისა (ეროვნებით ლატვიელი, ამჟამად ცხოვრობს მოსკოვში, ჩემს ძმისთან—დიმიტრისთან).

როდესაც დედახემმა შეიტყო, რომ ეს სურათი მუზეუმს გადავეცი, ძალიან გაჯავრდა; მითხრა წავსულიყავი და უკანვე გამომერთმით. მივედი მუზეუმში, მაგრამ განმიმარტეს, რომ შემოტანილი სურათები უკვე აღრიცხულია, დაბრუნება არ შეიძლება, მაგრამ როდესაც დაგჭირდებათ, შევიძლიათ აქევე ისარგებლოთო; ასე რომ, სურათი მუზეუმშივე დარჩა.

როდესაც დედახემს ვკითხე პორტრეტზე გამოსახული პირის ვინაობა, მიპასუხა: — ბარათაშვილის პორტრეტი იყოთ. მაგრამ რომელი ბარათაშვილისა — ეს უკვე აღარ იცოდა. მის დედამთილს, „პრელესტ ბაბალეს“ ამ პორტრეტის შესახებ შეტი არაფერი უთქვამს თავის დროზე.“

¹ „პრელესტ ბაბალე“ — ბაბალე ნოლოყაშვილი-ბარათაშვილისა ცნობილი ქარელმოქმედი ქალი, ილა ჭავჭავაძისა და რაფიელ ერისთავის მეგობარი. მის სახელთან დაკავშირებულია ქახოთის რეინიგზის მუნიცილობა, „ეფენისტყაოსნის“ ცოცხალი სურათების დადგმები თბილისში მიხია ზინის საქართველოში მოგზაურობისას, 1882 წელს. მისი დახმარებით ვაიგზავნა ვაჟა-უშაველა პეტერბურგში სასწავლებლად. ბაბალემ თავისი სახლ-კარი და კარ-მიდამო თანაეთის სახოვალიებას გადასცა საჩუქრად. იქ ახლა თანაეთის საავადმყოფოა მოთავსებული. საინტერესოა, რატომ შეარქეეს ბაბალე ნოლოყაშვილს მეტსახელად „პრელესტ ბაბალე“: ოუ-

საკითხის დასაზუსტებლად დავუკავშირდით მოსკოვშია
კონსტანტინეს ძმის დიმიტრი ივანეს ძეს და დედამისს მარგა-
ლიტა პეტრეს ასულს (ამჟამად იგი 75 წლის მოხუცია). პა-
სუხად მარგალიტა პეტრეს ასულმა საქართველოს სახელმწი-
ფო ლიტერატურული მუზეუმის დირექტორის ივ. კაკაბაძის
სახლშე 1968 წლის თებერვალში გამოგზავნა შემდეგი წე-
რილი:

«На Ваш запрос по поводу фотографии «НЕИЗВЕСТНОГО ЛИ-
ЦА», переданной моим сыном К. И. Бараташвили в Литературный
музей Грузии, сообщаю:

В 1946 году мой сын К. И. Бараташвили передал вашему му-
зею 27 старинных фотографий из семейного альбома, принадлежав-
шего моей свекрови Варваре Георгиевне Бараташвили.

Среди этих фотографий находился старинный снимок небольшо-
го формата — на бледно-желтом фоне был изображен портрет ме-
лодого человека в штатском.

У нас в доме в Тбилиси по бывшей Реутовской — теперь Мер-
квиладзе ул., д. 9, — часто гостила наша родственница Софья Чав-
чавадзе урожденная Бараташвили. Приезжая к нам из Кахетии (де-
ревня Вазис-Убачи) она любила рассматривать семейный альбом
с фотографиями и имела при этом обыкновение вынимать из альбома

სეთის მეცე ალექსანდრე მესამე საქართველოში მოგზაურობისას მხედ-
რიონის სასწავლო მანევრებზე დასასწრებად თიანეთს ესტუმრა. იქ მას
დიდი ნადიმი გაუმართეს. დიასახლისობდა ბაბალე ჩოლოეაშვილი-ბარა-
თაშვილისა. სტუმრებს ხინკალი მიართეს. ბაბალემ იფიქრა, რომ რესის
მეცეს შეიძლება არ სცოდნოდა ხინკალის ჭამის წესი. მეცე რომ უხერ-
ხულ მდგომარეობაში არ ჩაეგდო, ბაბალე მის პირდაპირ დაჭდა და ხინკ-
ლის ხელით ჭამა დაიწყო.

მეცემ, რა თქმა უნდა, ეს შეამჩნია, მიიხედ-მოიხედა და დაინახა, რამ
უვალა ხელით ჭამდა ხინკალს. თვითონაც ჩანგალი-გადადო და ხელით
შეექცა.

მეცეს ძალიან მოეწონა ბაბალეს მოსაზრებელი მოქმედება, ეს ჯე-
რიელი ქართული კერძი და მისი ჭამის მოხდენილი წესი. ნაშნალ მაღლა-
ბისა და კმიუთილებისა მან მოიმარედ მიმართა ბაბალეს: «Прелестъ-
Бабале, прелесты!»—ო.

რახავებირეულია, სულრასთან მსხდომთ ეს არ გამოპარვიათ და იმა
შემდეგ ბაბალე ბარათაშვილს ეს მეტსახელი შეარქევს.

интересовавшие ее фотоснимки и увозить их с собой в деревню. Это стало раздражать Варвару Георгиевну.

В один из приездов Софий Чавчавадзе к нам, Варвара Георгиевна выбрала из альбома 5—6 старинных фотографий, среди которых находилась и фотография молодого человека в штатском с бантом на место галстука.

Передавая мне эту фотографию, Варвара Георгиевна попросила ее спрятать, сказав: — это наш Бараташвили. Я отнесла эту фотографию в кабинет, где у нас в то время находилась библиотека, и по просьбе Варвары Георгиевны, — вложила ее в большую толстую книгу Шота Руставели «Витязь в тигровой шкуре», там и хранился этот портрет.

Должна отметить, что у нас в доме часто заходил разговор о Николозе Бараташвили, о его жизни и творчестве, при этом Варвара называла его всегда «Наш бедный Николоз». Это было 1917—1918 годы.»

ამის შემდეგ, იმავე 1968 წლის დასასრულს, თბილისში ინენერ და უურნალისტ ნიკოლოზ კვეწერელ-კოპაძის ოჯახში აღმოჩნდა ძველი ფოტოსურათები, რომლებითაც თითქოს დასტურდება, რომ ეს „უცნობი პირი“ არის არა ნიკოლოზ ბარათაშვილი, არამედ მისი მოგვარე ლევან დიმიტრის ძე ბარათაშვილი (დაბადებულია 1830 წელს, 1874 წელს ცოლად შეურთავს თბილისელი მოქალაქის კვეწერელი-კოპაძის ქალი ნატალია, ხოლო 1877 წელს გარდაცვლილა და დაუკრძალავთ ძველი მანგლისის ტაძრის გალავანში). ლევან ბარათაშვილის ფოტოსურათებს, რომლებიც ნიკოლოზ კვეწერელ-კოპაძეს თავისი მამიდისგან შემორჩენია, მართლაც აქვს მსგავსება წვენთვის საინტერესო „უცნობი პირის“ პორტრეტთან, მაგრამ დაბეჯითებით მაინც ვერ ვიტყვით, რომ „უცნობი პირი“ ნამდევილია ლევან ბარათაშვილია, სანამ კომპეტენტური საეციალისტები არ დაადასტურებენ ამას.

კვლევა ამ პორტრეტის გარშემო უდაოდ უნდა გაგრძელდეს და დადგინდეს — როდის შეიძლება იყოს იგი გადალებული და რა ვითარებაში. ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა ერთი საინტერესო ცნობა: რვაასიანი წლების პირველ ნაწევარში საქართველოში, კერძოდ თბილისში, მუშაობდნენ

მხატვრები ოვნათანიანები, რომლებიც ისე დაეუფლნენ პორტ-რეტების დამზადების ხელოვნებას, რომ ძნელად თუ გაარჩევ-დით მათ ნამუშევარს ნამდვილი პორტრეტისგან. მხატვრე-ბის ოჯახის წარმომადგენელი იყო ვინმე აკოფ ოვნათანიანი, შემდეგ მისი ხელობა გააგრძელა მისმა შთამომავალში — მიკირტუმ ოვნათანიანმა. ოვნათანიანებმა თბილისში დახატეს იმ პერიოდის ცნობილი პირები, მათ შორის ნ. ბარათაშვილის ბევრი ამხანაგი. შესაძლოა მათ ნიკოლოზიც დახატეს და „უც-ნობი პირის“ ფოტო ამ პორტრეტის ფოტოპირი იყოს. ოვნათა-ნიანების მიერ შესრულებული პორტრეტები სომხეთის ხე-ლოვნების მუზეუმში ინახება. ვინმე ი. წედვინიძე, რომლის გინაობასაც მკითხველი ქვემოთ გვეცნობა, საქართველოს სახელმწიფო არქივს აცნობებდა, რომ ერევნის ხელოვნების მუზეუმში დაცულია მე-18 საუკუნის ქართველ მოღვაწეთა პორტრეტები და საჭიროდ მიმაჩნია ამ მასალების შესწავ-ლათ.¹.

¹ იხ. სახ. არქ., ფონდი 481.

ნიკოლოზ გარათაშვილის
ფერწერული პორტრეტი ერევანში

ჩვენამდე მოღწეულია ცნობები, რომ გარდა პოეტის და-
გეროტიპული სურათებისა, არსებობს აგრეთვე ზეთის საღე-
ბავით ნატურილიზაციის მოწოდებით.

ცნობა ამის შესახებ ჯერ კიდევ 75 წლის წინათ გამო-
ქვეყნდა ქართულ პრესაში. ახლა კი საქართველოს სახელმ-
წიფო ცენტრალურ არქივშიც აღმოჩნდა დამაჯერებელი და,
სამწუხაროდ, დღემდე შეუსწავლელი და გამოუქვეყნებელი
დოკუმენტები.

1897 წელს გაზეთები „ცნობის ფურცელი“ და „ივერია“
შემდეგს აუწყებდნენ ქართველ საზოგადოებრიობას:

„ჩვენს ცნობილს გრავიორს გრ. ტატიშვილს² შეუტყვია,
რომ ერევანში ერთს სომებს ვაჭარს ჩვენის უკვდავის მგოს-
ნის ნიკ. ბარათაშვილის სურათი აქვს, წამლით ნახატი. ეს სო-
მები პოეტის ქარგი და დაახლოებული ნაცნობი ყოფილა და მი-
სი სურათიც მაშინ დაუხატვინებია, როცა ნიკ. ბარათაშვილი
ერევნის მხარეს მსახურობდა. როგორც ვიცით, აქამდე ქართ-
ველ საზოგადოებას ყოველი იმედი ჰქონდა დაკარგული ნ. ბა-
რათაშვილის სურათის შეძენისა. საჭიროა ერევანში მყოფმა
ქართველებმა ამ საინტერესო ამბავს ყურადღება მიაქციონ
და იმეციდინონ, რომ ჩვენის სასიქადულო პოეტის სურათი
საზოგადოების საკუთრებად გახადონ“.

ამ საგულისხმო ცნობას გამოეხმაურა იმ ტროს ერევანში

¹ ახ. გან. „ცნობის ფურცელი“, 1897, 5 მარტი, № 133; გან. „ივე-
რია“, 1897, 6 მარტი, № 41.

² გრიგოლ ტატიშვილი—ცნობილი ქართველი ქსილოგრაფი, რომელ-
შეც დადი ლვაწლი დასდო „კეფხისტყაოსნის“ შესანიშნავ ქართველიშვი-
ლისეულ გამოცემას.

მცხოვრები ქართველი პატრიოტი ივანე ნიკოლოზის ძე ზედგინიძე, რომლის საქმაოდ ვრცელი წერილი ამ საკითხზე იმავე 1897 წელსაა დაბეჭდილი გაზეთ „ივერიაში“ სათაურით — „უკვდავის მგოსნის ნიკოლოზ ბარათაშვილის სურათის გამო“. ¹

დავინტერესდით წერილის ავტორის ეინაობით. თანამოგარეებსა და ნათესავებში ბევრი მიმოკვლევის შედეგად გამოიჩინა, რომ ი. ნ. ზედგინიძე ყოფილა ქართველი საზოგადო მოღვაწისა და ქიმიკოსის, დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილის კონიაქის ქარხნის ერევნის ფილიალის („არაქსი“) დირექტორი. იგი სარაჯიშვილს დაუხელოვნებია კონიაქის წარმოებაში და თავისი მასწავლებლის ერთგული თანამოსაქმე და მეგობარი ყოფილა. მას ერევანში უცხოვრია 1886—1911 წლებში, დ. სარაჯიშვილის გარდაცვალებამდე, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ გადმოსულა თბილისში—მთავარ ქარხანაში ფირმის გახაძლოლად, ერევანში კი თავისი შეგირდები დაუტოვებია. ი. ნ. ზედგინიძე გამოღვა ქართველი შეცნიერების ბიძა, პროფ. ე. ი. ბიუსის ქვისლი. თვითონ ი. ნ. ზედგინიძეს შთამომავალი არ ჰყოლია. მეტად კეთილი და ქველმოქმედი კაცი ყოფილა, დიდ ფინანსურ დახმარებას უწევდა თბილისის უნივერსიტეტის შექმნის საქმეს. მის ოჯახში აღნიშრდილიან დოც. დ. გ. სარაჯიშვილი, საქ. შეცნიერებათა აკადემიის საქმეთა მმართველი ელევნე გოორგის საული სარაჯიშვილი, კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობი მერი დავითაშვილი და სხვანი. ი. ნ. ზედგინიძე გარდაცვალება თბილისში 1926 წელს.

„ივერიაში“ დაბეჭდილ ზემოხსენებულ წერილში ი. ნ. ზედგინიძე წერს: „ამ ამბის შეტყობისთანავე გულმოღვაც უშევუდექი იმ უცნობის ვაჭრის ძიებას, მაგრამ ვიდრე რის კვალს მივაგნებდე, არ შემიძლია არ ვაუწყო ქართველ სამთავროებას, რომ ექიმის ლეონ იაკობის ძის ტიგრანიანცის სამა-

¹ იბ. ამ. „ივერია“, 1897, 19 მარტი, № 52.

ში ვნახე დიდად საეჭვო სურათი. ეს სურათი წამლით ნახატია ტილოზედ. სიმაღლე არშინი და $2\frac{1}{2}$ გოჯი აქვს, ხოლო სიგანე 15 გოჯი. გამოსახულია ახალგაზრდა ყმაწვილი კაცი, ასე 25—30 წლისა, ლამაზის ქართულის სახისა, მოხდენილის ულვაშებით, წვერ გაბარსული. დახატულია ნახევარი ტანით, ვგონებ მჯდომარე. მარჯვენა ხელი უვლია წინ აყუდებულს თოფის ლულაზედ, ხოლო მარცხენა ხელი უძევს ლულის წვერზედ. ტანთ ამოსია ქართული კაბა, მაღალი, სამ პირად ოქრომკედით მოვლებული საყელოთი. კაბა ძალიან მუქის მეოლის ფერია (მოლისფერი, ეოლოსფერი.—ვ. ჩ.) ცალი (მარჯვენა) ყურთმავი გადაგდებული აქვს მხარზედ, მეორე კი ჩამოშვებული. კაბის ქვეშ აცვია გულამოჭრილი მწვანე ყოშიანის სახელოებით ახალუხი. მარცხენა სახელოს ყოში გადმოკეცილი აქვს და მარჯვენისა გადაკეცილი. ახალუხს ქვეშ აცვია წითელი მოვის პერანგი საყელოზე ოქრომკედ მოვლებული... პერანგის ცოტა გვერდზე ჩაკეცილი ბუხრის ქუდი. სურათი მშვენივრად არის დახატული. ზედ არავითარი წარწერა არა აქვს, ასე რომ ძნელად სათქმელია, რა დროს დავის ხელს ეკუთვნის.

ხოლო მე ნამდვილი წყაროებიდან შევიტყე, რომ 1840—1850 წწ. აქ, ერევანში, ყოფილა გამოჩენილი მხატვარი სტეფანოზ ნერსესიანცი, რომელსაც სწორედ ამ ხანში დაუხატავს დიდის ხელოვნებით მაცხოვრის ჯერიდან ჩამოხსნის ხატი. ეს ხატი ასვენია აქაურ სუფსარქისის ტაძარში, იგი უყიდნია ეკლესიას 1850—1851 წელს თვით მხატვრისაგან 400 მანეთად. მაგვე ნერსესიანცს დაუხატავს, გასაოცარის სინამდვილით, კათალიკოზი ნერსესი სავარძელში მჯდომარე... ეს საუცხოვო მხატვარი გარდაცვლილა ტფილისში 1883—1884 წ. და ბევრი ძვირფასი სურათიც დაუტოვებია... გარდაცვლილა 67 წლისა, მაშასადამე, ნიკ. ბარათაშვილის აქ ყოფნის დროს 1844—1845 წ წ. ყოფილა 28—29 წლისა. ნამდვილად შევიტყვე, რომ იმ ხანში ქ. ერევანში არც ერთი სხვა მხატვარი არ ყოფილა, გარდა ეპისკოპოსის სააკისა, რომელიც პხატავდა მხოლოდ საღმრთო წიგნებისათვის სხვადასხვაგვარ არშიებს და

მთელ თავის სიცოცხლეში არც ერთი სახე არ დაუწატავს. ასე რომ, ყოველ გზას გარეშეა, თუ თდესმე ნიკოლოზ ბარათაშვილი დაუხატავთ ძე, უაშეელად სტეფანოზ ნერსესიანცს უნდა დაეხატა და თუ კი ამ გამოხენილ მხატვარს დაუხატავს, მისი საკვირველი ნიჭი თავმდებია, რომ სრული სინამდვილით უნდა იყოს დახატული“.

ამის შემდეგ წერილის ავტორი გადმოგვცემს თავის საუბარს სურათის პატრონთან—ლეონ იაკობის ქ ტიგრანიანცთან. ტიგრანიანცმა მიამბოო,—წერს ი. ზედგინიძე,—რომ „ამ რამდენიმე წლის წინათ (როგორც საარქივო დოკუმენტით დასტურდება, 1892 წელს.—ვ. ჩ.) ამ სურათიდან აქაურს ფოტოგრაფს გადაუღია სურათი და გაუვრცელებია ხალხში. ქვემოთ დიდი ასოებით წარწერილია „აღასი“ (ხახატურ აბოვიანის ნაწარმოების—„სომხეთის ჭრილობების“ მთავარი გმირის სახელი.—ვ. ჩ.). რაღა თქმა უნდა, ასეთ საყვარელ გმირს, ასეთ მშვენიერ ტანსაცმელში და საუცხოოდაც დახატულს, დიდი გასავალი ექნებოდა. ასე გასინჯეთ, წასულ წელს, როდესაც მოსკოვში განუსრახავთ ხეჩატ აბოვიანცის თხზულებათა კრებულის გამოცემა, ერთს აქაურ ინტელიგენტს სომეხს გაუვზავნია ეს სურათი გამომცემლისათვის, არიქა, აღასის სურათი ვიპოვეთ და აბა თქვენ გამოცემაში მოაქციეთო. ეს კრებული (თხზულება ხეჩატ აბოვიანცის. მოსკოვი, 1897 წლის) გადავათვალიერე და შიგ გარდა ავტორის სურათისა სხვა არა იყო რა. ეტყობა, კეთილგონიერი გამომცემელი სინდისიერათ მოქცევია თავის გამოცემას და... ვარ შეუცდენიათ იგი“.

ი. ზედგინიძე შემდეგ აღწერს ვინ იყო ხალხური გადმოცემით აღისი, ადარებს მის ხ. აბოვიანის ნაწარმოების გმირი და დასძენს, რომ აღასი იყო ქანაქირელი (ერევნიდან 6 ვერსით დაშორებული სოფლის) კლების შვილი და მხატვარი რაგინდ ლაღის ფანტაზიისა უნდა ყოფილიყო, იმდენად ვერ გაკადნიერდებოდა, რომ იგი შეემოსა ძვირფასის, ქართულის თავადის კაბითათ.

ი. ზედგინიძემ ამ წერილთან ერთად განს. „იეერიის“ ჩე-

დაქციას გამოუგზავნა სურათის ფოტოპირი, რათა ნიკოლოზის ნაცნობებისა და ნათესავებისათვის ეჩვენებინათ, თანაც შენიშვნაში დასქვნდა: „სამწუხაროდ, ფოტოგრაფმა შედარებით ცუდად გადაიღო. აქ უფრო ხნიერს ჰგავს. ქვეშ სომხურად წანაწერი „აღასი“ ფოტოგრაფს ეკუთვნისო“.

რაკი იმ დროს სურათების გამოქვეყნების ტექნიკა არ იყო, წერილის სქოლითში „ივერია“ წერდა: „ვისაც პსურს ამ სურათის ნახვა, შეუძლიან „ივერიის“ რედაქციაში მოიკითხოს იგიო“.

როგორც ქვემოთ საარქივო მასალიდან თვალსაჩინოდ დავინახავთ, პორტრეტი ფოტოგრაფის მიერ მნიშვნელოვნად იყო შეცვლილი, რათა გამოსახულება უფრო გმირული ყოფილიყო და პარტიზან აღასის უფრო დამსგავსებოდა. თუ იმასაც დავუმატებთ, რომ ი. წედგინიძის შენიშვნისამებრ, პორტრეტზე გამოსახული ყმაწვილი კაცი ამ ფოტოსურათით „უფრო ხნიერს ჰგავდა“, გასაკვირი არ იქნება, რომ თანამედროვეებმა ამ ცუდ ფოტოგრაფიაში ვერ შეიცნეს ნიკოლოზ ბარათაშვილი.

ეს ამბავი თითქოს ამით უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ, როგორც ირკვევა, პატრიოტ მამულიშვილს ი. წედგინიძეს ამის შემდეგ კიდევ მოუპოვებია მეტად საყურადღებო მასალა სსენებულ პორტრეტთან დაკავშირებით და სათანადო წერილითაც მოუმართავს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის. ეს წერილი, რომელიც, სამწუხაროდ, ჯერ არ გამოქვეყნებულა და არც მკვლევართათვის ყოფილა ცნობილი, საკმაო საფუძველს იძლევა იმისათვის, რომ სსენებული პორტრეტი წევნი სასიქაღულო პორტის გამოსახულებად მივიჩნიოთ. მოგვყავს ი. წედგინიძის ეს საყურადღებო წერილი მთლიანად:¹

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოების მმართველობას უეჭველია ეხსომება დიდად საყუ-

¹ ი. საქ. ცენტრ. სახ. არქივი, ფონდი 481, აღწ. 1, საქმე 571, ფურც. 10—11.

რადღებო ამბავი, გრ. ტატიშვილის მიერ განქეთებით ნაუწყები, რომ აქ, ერევანში, მოიპოვება ჩვენის სახელოვანის შვილის ნიკ. ბარათაშვილის სურათი; ეხსომება ჩემი წერილიც „ივერია“-ში (№ 52) დასტამბული და იგრეთვე შენიშვნაც პატივცემულის რედაქციისა, რომ ჩემ მიერ გამოგზავნილი სურათით ვერავინ „იუნეს“ ნ. ბარათაშვილი. ამის შემდეგ მეც გავანებე თავი იმ სურათს. მაგრამ ამ სამი კვირის წინეთ ერთმა პატივცემულმა აქაურმა სომებმა ბ. მიხეილ ათანასიანცმა შემატყობინა, რომ მან ნახა ერთი მოხუცი (72 წ.) ბ. რუშანბეგ კეგამოვი, რომელიც ძალიან კარგად იცნობდა ნ. ბარათაშვილს, რომ მან (ათანასიანცმა) კეგამოვს აჩვენა ფოტოგრაფიული სურათი, როგორიც მე გამოვგზავნე, ფოტოგრაფთან და იცნო მასში ნიკ. ბარათაშვილი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ დიდი ულვაშები აქვს და იმას კი პატარა ულვაშები პქონდათ. ამ შენიშვნაზე ფოტოგრაფს ურცხვად შეუნიშნავს, რომ ულვაშები მე მოვუმატეო, რომ უფრო ვაჟკაცური, გმირული სახის გამომეტყველება პქონდესო, ე. ი. რომ უფრო პგვანდეს სომხის გმირს „აღასის“, რომლია სახელიც უწოდებია სურათის პატრონს ექიმს ლეონ ტიგრანიანცს. ბ. ათანასიანცმა შირჩია, რომ ბ. რუშანბეგ კეგამოვისათვის მეჩევენებინა ორიგინალი და მისი ბინაც მიგვასწივლა. გიახელით მასთან თავ. გიორგი ანდრონიკაშვილი და მე. შემდეგ მცირე ბაასისა მასთან, რამაც დაგვარწმუნა, რომ იგი დაახლოებით (ახლოს.—ვ. ჩ.) იცნობდა ბარათაშვილს (შისგან შევიტყვე, რომ ნ. ბარათაშვილი კოჭლი ყოფილ, რაიც შემდეგ ამოვიკითხე „კვალში“), ვსთხოვეთ ორიგინაცნას; დაუზარებლად გამოგვყვა ბ. ტიგრანიანცთან. ჯესათვალეებიც (კარგი მხედველობა აქვს) არ გაეკეთებინ, რომ სიამოვნებით შემოგვეძანა—ეს ნამდვილად ნიკოლაი ბარათოვიათ და მოგვმართა—აბა სად ეს და სად ფოტოგრაფის გადაღებულით!.. მართლაც, ამ სურათის მეორეთ ნახვამ მეც დამარწმუნა, რომ ფოტოგრაფია განვებ იყო დამახინჯებულ.

ბ. რუშანბეგ კეგამოვმა გვითხრა, ეს სურათი აჩვენეთ დროს (ბარათაშვილის) აქ მოხელეებად ყოფილთ ქართვე-

ლებს ბ.ბ. ვახტანგ მაჩაბელს, მიხეილ ციციანოვს და კავკაცი-
ძეს (ამის სახელი აღარ ახსოვდა) აქ „კვარტალნით“ ყოფილს,
და თუ იმათაც არ იცნეს, თუნდა თვივი მოქმედეთო. ეს სუ-
რათი სულ აღვილად შეეძლო შეეძინა ამ ექიმის მამას იაკობ
ტიგრანიანცს, რომელიც იმ ხანათ აქ „კვარტალნი“ იყო და
ნიკალაი ბარათოვსაც კარგად იცნობდათ და თუ ექიმს დაუ-
კინია, რომ მე ბიძისაგან (სანასარიანცისაგან) დამრჩაო, ეს
არ არის გასაკვირეველი, რადგანაც სანასარიანცს შეეძლო თა-
ვისი სიძისაგან, იაკობ ტიგრანიანცისაგან წაელოვო. ყოვე-
ლივე ზემოთ აღნიშნულ გარემოებათ, ჩემის აზრით, დიდად
საეჭვოთ, მაიძულეს როგორმე თვით ორიგინალი გამომეგ-
ზავნა. მაგრამ პატრონი დიდს უარზე დადგა და მხოლოდ იმი-
ტომ, რომ, როგორც თვით გულაბდით განაცხადა, მე ეს 4—5
წელიწადია, რომ უქმათ არა მქონდა ეს ტიპი კავკასიელისა,
დავარქვი ჩენი ხალხის საყვარელი გმირის სახელი „აღასი“
და ძალიან ბევრიც გაიყიდათ, ამა ახლა წარმოიდგინეთ ჩემი
მდგრმარეობა, რომ თქვენი პოეტი ბარათაშვილი გამოდგესო.
შემდეგ კრცელის ბაასისა მასთან, რომლითაც თქვენ თავს არ
შეგაწყენთ, დასთანხმდა, რომ იგი გადმოგვცემს გამოსაგზავ-
ნად, თუ „წერა-კითხვის გამარტიველებელი საზოგადოება“
ოფიციალურათ სთხოვს შას ოცის დღის ვადით და იმ უეჭვე-
ლის პირობით, რომ ეს საზოგადოება, თუ იგი მართლა ნიკ-
ბარათაშვილი გამოდგა, არავითარს პირს არ გაღიღებს მის-
გან, ვიდრე პატრონისაგან ამის ნებას არ მიიღებს.

კოველგვარ სხვა მიწერ-მოწერისათვის მზათა ვარ უპატივ-
ცემულების „საზოგადოებისათვის“, თუ ეს საჭირო იქნება.

დავშთები სულით და გულით თანამგრძნობი „საზოგადო-

ებისა“ ივანე ნიკოლოზის ძე ზედგინიძე. ქ. ერევანი. 14 მაისი,
 1897 წელი“.

ამ წერილის შემდეგ კვლავ აღიძრა ინტერესი ქართველ
 საზოგადოებაში — ენახათ სურათის ორიგინალი, რომელიც
 ექიმ ლეონ ტიგრანიანცს პქონდა სახლში. ამ მიზნით, ქართველთა
 შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ წერილი მისწერა ლეონ ტიგრანიანცს 1897 წ. 14 ივნისს
 (№ 143). აი ეს წერილიც.¹

«Его высокоблагородию Левону Яковлевичу Тигранянц. Милостивый государь, Правление Общества распространения грамоты среди грузинского населения осведомилось, что у Вас имеется портрет, принимаемый многими за портрет грузинского поэта Николая Баратшвили.

Желая проверить, насколько основательно такое предположение, Правление означенного Общества покорно просит Вас выслать упомянутый портрет в Канцелярию Общества сроком на 20 дней.

Правление обязывается вернуть Вам портрет в означенный срок и не снимать с него копии без предварительного Вашего согласия.

Издержки по пересылке портрета Общество принимает на себя».

როგორც წერილის შავ პირზე მიკრული საფოსტო ქვითარი იუწუება, წერილი გაგზავნილია დაზღვეულად 1897 წ.
 19 ივნისს თბილისიდან ერევანში, საფოსტო საღაზღვევო
 ქვითრის № 1297.

აქ წყდება საარქივო მასალების კვალი (საქართველოს
 არქივში არსებული) და ცნობილი არაა, რა შედეგი მოჰყვა ამ
 წერილს.

¹ საქ. ცენტრ. სახ. არქივი, ფონდი 481, აღწ. 1, საქმე 571, ფურც. 15.

ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების 150 წლისთავის იუბილესათვის მზადების პერიოდში ამ საგულისხმო მასალების შესახებ პოეტმა მარიკა ბარათაშვილმა, სახელმწიფო არქივის გამგემ, აწ განსვენებულმა აბესალომ იოვიძემ და ამ სტრიქონების ავტორმა სათანადო მოხსენება წარეცუდგინეთ რესპუბლიკურ საიუბილეო კომიტეტს.

საიუბილეო კომიტეტმა მიზანშეწინილად ცნო სპეციალური კომისია გაეგზავნა ერევანში აღნიშნული პორტრეტის მოსაკვლევად. კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ: პოეტი მარიკა ბარათაშვილი (თავმჯდომარე), ხელოვნებათმცოდნეები ქ. ბაგრატიშვილი და ე. პრივალოვა და ამ სტრიქონების ავტორი.

ერევანში კომისიას დიდი დახმარება გაუწიეს აღილობრივმა პარტიულმა და სახელმწიფო ორგანიზაციებმა, სომხეთის მწერალთა კავშირმა, ხელოვნებათმცოდნეთა დიდმა კოლექტივმა, პრესის, ტელეხედვისა და რადიოს მუშაკებმა. კომისიამ დაადგინა, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის ხსნებული სავარაუდო პორტრეტი 1953 წლამდე ინახებოდა ღეონ იაკობის ქ ტიგრანიანცის შვილის—კარენ ღეონის ქ ტიგრანიანცის ოჯახში (ერევანი, თუმანიანის ქ. 33). კარენ ტიგრანიანცი გარდაიცვალა 1953 წელს, პყოლია ერთი ვაჟიშვილი პირველ მეუღლესთან—ღეონ კარენის ქ ტიგრანიანცი, დაბადებული 1924 წელს. ცოლ-ქმარი ქორწინებიდან ორი წლის შემდეგ გაყრილან, 1926 წელს, შვილი მეუღლეს თბილისში წამოუყვანია (კარენის შვილი—ღეონ ტიგრანიანცი ჯერჯერობით ვერ აღმოვაჩინეთ), კარენი კი დარჩენილა ერევანში მეორე მეუღლესთან; მისგან შთამომავალი არ დარჩენია, კარენი გარდაცვალებისას მარტოხელა ყოფილა, ამიტომ მისი ოჯახის მცირე ქონება მისი სიკვდილის შემდეგ დარჩენია მის ქვისლე—ვინმე ტიგრან აღექსანდრეს ქ შახნაზარიანს (მცხოვრებს ქ. ერევანში, კარლ მარქსის ქ. 22), რომელსაც კარენის ოჯახიდან სხვა ნივთებთან ერთად ეს პორტრეტიც



23. ნ. ბარათაშვილის საფარაუდო პორტრეტი, ვადაკუთხებული 1892 წელს
ლეონ ტიგრანიანცის მიერ.



24. ବ. ମାର୍କୋପୁରୀଙ୍କ ଦିଦି — ନାନା ମହାନାନ୍ଦିଙ୍କ ପାତ୍ରଶିରେଶ୍ଵର.



წამოუღია. პორტრეტი მასაც გულმოდგინედ და ფაქტისად ქვენია შენახული 1961 წლამდე. ტიგრიან შახნაზარიანი მემ-თვრალე ყოფილა და 1961 წლის აპრილში განუზრახავს სა-კომისიო მაღაზიაში გაეყიდა ეს პორტრეტი (ერევანი, ლენინის ქ. 39, მაღაზია № 166). პორტრეტი გაყიდული უნდა იყოს კერძო პირზე 300 მანეთად (ძველი კურსით). ტიგრიან შახნა-ზარიანი გარდაცვლილა 1966 წელს. იუცილებელია ძღინიშ-ნის, რომ კომისიამ მიაკვლია აგრეთვე კარენ ტიგრანიანცის ამხანაგს, მისი ოჯახის ახლო მეგობარს—მონაცირე არტავაზდ არტამესის ქე კართანიანს (მცხოვრებს ერევანში—ჩერიო-მუშქში, აბელიანის ქ. 13. ბინა 15), რომელიც კარგად იც-ნობდა ამ პორტრეტს; მან სრულის სიზუსტით აღწერა ივი, ისე როგორც საარქივო მასალებშია იღწერილი. მან აღნიშნა: „მეტად ლამაზი და ძვირფასი პორტრეტი იყო, შესრულებუ-ლი ფერებში და კარენი მას ინახავდა თავის მამის სამასნოვ-როდო“. ეს მონაცირე ა. ვართანიანი კარენის გარდაცვალე-ბისას პატიმრობაში ყოფილა აგტომანქანის ავარიის გამო და ამიტომ არ იცოდა პორტრეტის შემდგომი ბედი. ეს პორტ-რეტი რომ ტიგრიან შახნაზარიანის (ქარენის ქვისლის) პეტრი სახლში 1961 წლამდე, ეს დაადასტურა აგრეთვე იმავე ეზოში (ქ. მარქსის ქ. 22) მცხოვრებმა შახნაზარიანის შეზობელმა, ქართველმა ქალმა ქეთევან ივანეს ასულმა დიასამიძე-სუკია-სოეამ, რომლისთვისც ტ. შახნაზარიანს რჩევა უთხოვია, ვის-თვის მიეყიდნა ეს პორტრეტი, რომ მეტი თანხა მიედო.

კომისიამ ერევნის ლიტერატურისა და ხელოვნების მუზ-უმის ფონდებში (ხაჩატურ აბოვიანის ფონდი № 773) ნახა „აღასის“ პორტრეტის სამი ეგზემპლარი, გადაღებული ფუ-ტოგრაფიულად ნიკ. ბარათაშვილის სავარაუდო პორტრეტ-დან და შემდეგ სახეშეცვლილი ფოტოგრაფის მიერ. (ი. სურ. 23). ამ სურათის შეჯერება ნიკ. ბარათაშვილის ბიძა — ილია ორბელიანის სურაოთან (ი. სურ. 24) განცვიფრების იწვევს; თვალსაჩინოდ შეიმჩნევა მათი ურთიერთ მსგავსება-როგორც სისხლით მონათესავე პირებისა, სახისა და ტანა-მსგავსი ნაკვთებით.

ამ სურათთან დაკავშირებით საჭიროა აგრეთვე აღნიშნავის ნოთ მეტად საგულისხმო გარემოება.

სურათს ქვემოთ, სადაც მკვეთრად მოჩანს სომხური წარწერა „აღასი“, აქეს მინაწერი, მეტალი, წვრილი სომხური წარწერა, რომლის მარჯვენა ნაწილიც პალეოგრაფებმა ასე ამოიკითხეს: „ენდორინაკელე არგელვან“, რაც ნიშნავს — პირის გადაღება აკრძალულია.

მნელი არაა დაგასკვნათ, რომ ამ მინაწერის ავტორი ერიდებოდა ამ სურათის ფართოდ გავრცელებას, რათა მისი საქციელი არ გამომჟღავნებულიყო, რასაც იყითონ ზემოთმოყვანილ წერილშიც გულახდილად აცხადებს: „მე ეს 4—5 წელიწადია, რომ უქმათ არა მქონია ეს ტიპი... დავარქვი „აღასი“... ამა ახლა წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა. რომ თქვენი პოეტი ბარათაშვილი გამოდგესო...“ და სხვა.

ჩვენი თხოვნით, სომხეთის რესპუბლიკურ გაზეთებში, წელებედევასა და რაღიოში გამოცხადდა პორტრეტის ძიება; ეთხოვეთ აგრეთვე სომხეთის ცენტრალურ სახელმწიფო არქივს, შეესწავლა, რა ბედი ეწია ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების 1897 წ. 14 ივნისის № 143 წერილს, მიწერილს ილია ჭავჭავაძისა და ლავით კარიჭაშვილის მიერ ლეონ ტიგრანიანცისადმი ილია გრიგოლის ქათუმანიშვილის (თუმანოვის) შუამავლობით.

ამის შემდეგ, 1968 წლის 17 ოქტომბერს, ერევანში კიდევ გაიგზავნა კომისია მწერალ ივანე ენიკოლოფაშვილის, არმენოლოგ პ. არველაძისა და ამ სტრიქონების ავტორის შემადგენლობით.

განსაკუთრებული ინტერესი საკითხისადმი მწერლებმა, ხელოვნებათმცოდნებმა და მხატვრებმა გამოიჩინეს. სომხეთის ხელოვნებისა ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა ამხ. რ. ზარიანმა გვთხოვა გავსაუბრებოდით ხელოვნების მუშაკებს და ამ საკითხზე საარქივო მასილების შინაარსი გაგვეცნო მათთვის. 1968 წ. 28 ოქტომბერს მან ინსტიტუტში მოგვიწყო შეხვედრა, რომელსაც 30-მდე კომპეტენტური ხე-

ლოვნების მუშაკი ესწრებოდა სხვადასხვა თრგანიზაციებით. ასეთივე გასაუბრება გვქონდა 29 ოქტომბერს სომხეთის მხატვართა კავშირშიც, უფრო ვიწრო წრეში.

თითქმის ყველა მათგანმა მიიჩნია, რომ:

— სურათზე წარმოდგენილია ქართველი ტიპი;

— უაჭერელად ინტელიგენტი, კეთილშობილი, რომელსაც არაფერი აქვს საერთო პარტიზან აღასისთან. აბა შეხედულ მის ხელებს და სახეს, განა შეიძლება ეს აღასის ხელები ან სახე იყოსო? — ამბობდნენ;

— დაჭერილი პოზა უაჭერელად რომანტიკულია.

— აღიარებდნენ, ჩვენ აღრეც ვიცოდით, რომ ეს აღასი არ იყო, და მხოლოდ პირობით-წარმოსახვითად მივიჩნიეთ „აღასითო“.

— ამავე დროს ყველა ერთხმად აღნიშნავდა, რომ პორტ-რეტი უაჭერელად სომები მხატვრის მიერ არის დახატული და ასეთი დახვეწილი სურათის შექმნა მხოლოდ სტეფანოზ ნერსესიანს შეეძლოო.

ხელოვნებათმცოდნები თვალსაჩინოდ ამჩნევდნენ ფოტო-გრაფისეულ დამატებებს, რომლებიც გამოსახულებას სომხურ იქრს ანიჭებდა.

ერთი დამსწრეთაგანი საუბრის შემდეგ ჩვენთან მოვიდა და გვირჩია, თუ სურათის ორივინალს ვერ ნახავთ, შევიძლიათ ეს ფოტოპირი გაგზავნოთ შეეიცარიაში — ციურიხში, იქ არის საერთაშორისო მნიშვნელობის ფოტოინსტიტუტი, რომელსაც აქვს ხელსაწყოები და ჰყავს სპეციალისტები, რომელთაც შეუძლიათ ზუსტად ისევე აღადგინონ სურათი, როგორც მხატვრის ხელით შესრულებული ორივინალი იყოო. მან ისიც მიგვასწავლა, თუ როგორ შეიძლება ამ ფოტოპირის საექსპერტოზოდ გაგზავნა ციურიხში.

საინტერესოა აღინიშნოს ისიც, რომ, როცა ეს ფოტოპირი სრულიად სომხეთის კათალიკოსმა განგენშა ნახა (როდესაც ეჩმიაძინის გალერეაში ვეძებდით), მაშინვე თქვა — „სურათზე ქართველი კაცია წარმოდგენილიო“.

ჩვენ მივაგენით აგრეთვე ექიმ ლეონ იაკობის ძე ტიგრანიანცის ხელნაწერ მოგონებებს (სომხურ ენაზე, 400-მდე გვერდი). სიმწუხაროდ, ეელარ მოვასწარით ამ დოკუმენტის დაწერილებით შესწავლა, საჭირო კია ამის გაკეთება, რადგან სულ აღვიღი შესაძლებელია, რომ იგი საინტერესო ცნობებს შეიცავდეს საძიებელ პორტრეტზე. ვიბოვეთ აგრეთვე, სომხეთის სახალხო გმირის იღასის საგვარეულოს უახლოეს შთამომავალთა სურათები. ქ. ერევანში (კალინინის ქ. № 1) მცხოვრებ მოქალაქე აზნაურიანს აღმოაჩნდა აღასის ძმის—ოგანეზის შვილისა და შვილიშვილების მრავალი სურათი. შევაღარეთ ისინი „აღასის“ პორტრეტს და ვერავითარი მსგავსება ვერ ვნახეთ გათ შორის.

ნიკ. ბარათაშვილის ამ სახეშეცვლილი პორტრეტის შესადარებლად მისი ბიძის—ილია ორბელიანის პორტრეტთან, ზემოთ აღნიშნული კომისიის თავმჯდომარემ, უურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქტორმა, პოეტმა მარიკა ბარათაშვილმა ამ ცოტა ხნის წინათ რედაქციაში მიიწვია საკონსულტაციოდ ცნობილი ქართველი მედიკოსები, მხატვრები, ეთნოგრაფები და ფოტო-უურნალისტები: აკადემიკოსები პ. ერისთავე, მ. კომახიძე, შ. ამირანაშვილი, ირ. ტატიშვილი. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ნ. ჯავახიშვილი, პროფ. ა. ჯორბენაძე, მ. აბდუშელიშვილი, ეთ. ანდრონიკაშვილი, ფოტოხელოვანი ო. თურქია, ეთნოგრაფი ც. ბერძიაშვილი და არმენოლოგი ბ. არველაძე.

ყველამ თავისი პროფესიის თვალსაზრისით შეაღარა ეს ორი სურათი ერთმანეთს და გამოთქვა თავისი აზრი. შეიძლება თამამად განვაცხადოთ, ყველა მათგანმა ერთხმად აღიარა, რომ ორივე სურათზე წარმოდგენილია ქართველი კაცის სახე. ისინი ძალიან ემსგავსებიან ერთმანეთს, როგორც სახის ნაკვებით, ისე ტანის აღნავობით, და უეჭველად უახლოესი ნათესავები უნდა იყვნენ.

როგორც აღვნიშნავდი, ასეთივე აზრი გამოთქვეს თვით ერევანშიც. კომპეტენტურმა სომეხმა სპეციალისტებმა.

ზემოთ აღნიშნული ცნობები გვარწმუნებენ, რომ ერე-
ვანში სულ ბოლო დრომდე (1961 წლამდე) არსებობდა ნი-
კოლოზ ბარათაშვილის სავარაუდო პორტრეტი. საჭიროა
ენერგიული ნაბიჯები გადაიდგის მის მოსაძებნად და სინამ-
დვილის დასაღენად.

ნიკოლოზ ბარათავისის პორტრეტის
აღდგენის ერთი საიმადო გზა

არსებობს ნ. ბარათაშვილის სახის აღდგენის ერთი საიმედო ხერხი—პროფესორ მ. გერასიმოვის მეთოდი: თავის ქალას შესწავლის საფუძველზე აღამიანის პორტრეტის შექმნა. ეს მეთოდი ამჟამად საყოველთაოდაა აღიარებული და ფართოდაც იყენებენ.¹ მ. მ. გერასიმოვის მიერ ღრმა მეცნიერულ საფუძველზე შექმნილი ხელოვნება აღამიანის თავის ქალას საშუალებით სახის აღდგენის სრულ შესაძლებლობას უზრუნველყოფს.


როგორც ცნობილია, ნ. ბარათაშვილი „ 1845 წლის ზაფხულში გახდა ავად განჯის ცედი ცივებითა და აგვისტოს 21-ს გარდაიცვალა“,² მისი გვამი კი „დაიკრძალა ელისავეტბოლში,“ პატარა, რუსის ეკლესიის გალავანში“.

ქირთველმა ხალხმა დიდი პოეტის ნეშტი 1893 წლის 24 ივნისს განჯილის თბილაშვილი გადმოასვენა (იხ. სურ. 25) და ლილუბის პანთეონში მიაბარა სამშობლოს მიწას, ხოლო 1938 წლის 15 ოქტომბერს დიდუბის პანთეონილან მამალავითის მთის ქალთანე, მწერალთა პანთეონში გადასვენა (იხ. სურ. 26 და 27).

¹ «Труды Института этнографии АН СССР, том 28, М., 1955 г. М. М. Герасимов, «Восстановление лица по черепу (современный и ископаемый человек)».

² იხ. ლოტ. მატიანე, წიგნი 1—2, გვ. 405.

³ ელისავეტბოლი, იგივე მურუთი, კიროვაბადიდან (ყოფ. განჯილან) დამოუკიდებლად 14 კილომეტრით.



25. 6. ბარათაშვილის ნეშტი ვაგონშა, ვანჯიდან თბილისში გაღმისევენების დროს.

ორიენ შემთხვევაში,—როგორც ვანჯიდან თბილისში გადმოსვენების დროს, ისე დიდუბის პანთეონიდან მთაწმინდაზე გადასვენებისას, აღწერილ იქნა ნეშტის მდგომარეობა, საიდანაც დასტურდება, რომ ნეშტი უეჭველად ნიკოლოზ ბარათაშვილისაა და „თავის ქალა და პირისახის ჩონჩხი კარგად შენახულია“ (იხ. სურ. 22).

აი როგორაა აღწერილი თავის დროზე პოეტის ნეშტის მდგომარეობა ვანჯიდან ვამოგზავნილ კორესპონდენციაში, რომელიც განს. „ივერიაში“ დაიბეჭდა:¹

„ყველამ იცოდა სმენით თუ წაკითხეით, ზოგმა კიდევ ნახვითაც, თუ სად იყო დასაფლავებული დაუკიწყარი პოეტი და

¹ იხ. განს. „ივერია“, 1893, 29 პრილი, № 88, გვ. 3, „წერილი ვანჯიდან“.

სწორედ ამ დაბეჯითებით აიხსნება ის, რომ კადნიერად შე-
უდგნენ მიწის თხრას პოეტისავე ძმის თუ ღვიძლი ნათესავის
საფლავის ქვის მარჯვნივ. აქაურის საკრებულოს წინამდღვარს
მამა მიხეილს (გვარად მძინარაშვილია) ორჯერ გადაუხდია
პანაშვიდი პოეტის საფლავზე და იქ დამსწრე მწუხარე დასაც
უთქვამს თურმე მამა მიხეილისათვის, ჩვენი ძმა ნიკოლოზ
მარჯვნივ ასაფლავიათ...


განზრახეა პქონიათ აქ ჩამოსულ მოთავეთა პოეტის ნათე-
სავს თავ. გ. ორბელიანს, ბ-ნ გ. იოსელიანს და ბ-ნ ა. ჭყო-
ნიას და მათთან ყველა იქაური ქართველობა, ერი თუ მღვდე-
ლი, მოწადინებული იყო პოეტის ძვირფასი გვამი, აწ მხოლოდ
ძვლადა და მტვრად დაშთენილი, საკრებულოს ეკლესიაში
წაესვენებინათ და წირვა გადაეხადათ ქართულის გალობითა
და ლოცვა-კურთხევით...

თხრაში ათასგვარად ვაბარდეული ხის ძირები საქმეს უჭირ-
ებდა მუშებს... კარგა ძალზე ჩაღრმავდნენ. ხის ძირები ვამო-
ილია და კუბოს მდებარეობის ნიშნებიც ვამოჩნდა. ცოტა
კიდევ და ყველას თვალთ წარმოუდგა ნამდვილი სამარე...
კუბო თითქმის აღირ შენახულიყო. იპოვეს მხოლოდ მისი
მოსართავის ბუშმენტის რამდენიმე ნაწყვეტი. მისივე ვაყო-
ლებით წონჩხიც ესვენა უმთავრეს ნაწილებად ანუ სახსრე-
ბად დაუმიწებელი. ტანსაცმელისა იღმოჩნდა სერთუკის ოთხი
თითბრის ფოლაქი მძიმედ ჟანგ მოდებული და დამბლის მაუ-
დის ნაგლეჯებზე დაკიდებული. უცხო და საინტერესო იყო
ერთი მაუდის ნაფლეთთაგანი; როგორც სჩანდა, სახელოსი,
ზედ სამოქალაქო უწყების მუნდირის ოქრომკედის კანტი და
მასზე კიდევ ფოლაქი. ფეხთ საცმლისა კი იპოვეს ცალი
ლანჩა, ცალი ქუსლი და ცალიც საბირე ყელითურთ, როგორც
სჩანდა, ძველებურის ქართულის სამოგვის წილისა, რადგან
შესაკრელი თასმები ზედვე პქონდა.

ფრთა შესხმულმა იმედმა აღმაფრენა დაიწყო. ყოველივე
ნიშანი უტყუარად ამტკიცებდა პოეტის გვამსა. მისი დის
თქმული „მარჯვნით“ მდებარეობა ეხლა აღვილი გასავები
გახდა...



Թ. Ա. Զարուհին Եղիշե յաջմին ըստի համբակ թափառքի 1933 թվ
լուսուն պատճեն)։



კუბო, ტანსაცმელი და ჩონჩხის წერილი სახსრები სრულიად გახრწნილუყო, ამის მიზეზად ამბობენ აკაკის ხეს, რომელიც იქვე ყოფილა დარგული და რომლის ძირზედა დღეს პატარა ყლორტებია ამოხეთქილი. იo ამ ხეს რწყავდნენ თურ-შე და წყალი კი კუბოს თავს იწურებოდა, რის გამოც კუბოსა და გვამის გახრწნა მოსწრაფებულა...

მოიტანეს კუბო და ფრთხილად შეუდგნენ ნაწილების ამოკრეფას. თავის ქალა დაუშლელი იყო. უმთავრესი სახსრები როგორც ზედა, ისე ქვედა ტანისა გაუხრწნელი და შეუ-მუსევრელი იყო და განსვენებული მგოსანი, როგორც იქ დამსწრე ერთმა ექიმმა სთქვა, მოსული ვაჟკაცი ყოფილა. თავის ქალაც ამასთანივე საქმიოდ დიდი იყო. წერილის სახს-რებისა ზოგიერთი ნამტევრევიდა აღმოჩნდა. ძვლები რომ ამოკრიფეს, მერე ის მიწაც ამოიღეს, ჩონჩხის გაყოლებით რომ იყო. ყოველივე აღმოჩნდილი ნაშთი გვამისა, ტანსაცმ-ლისა თუ კუბოსი დაიკრძალა კუბოს შუა უჯრაში, მხოლოდ ორიოდე უბრალო ფოლაქი და აგრეთვე ის ფოლაქიც, რო-მელსაც სახელოს ოქრომკედის კანტი შეტჩენოდა, ბ-ნ აღუ-ქსანდრე ჭყონიაშ ჩაიბარა.¹ კუბოს თავს დატურება და შეამ-კმა ყვავილებითა და ორის გვირგვინით...

იქნებოდა მეხუთე საათი, პროცესია რომ დაიძრა...

პატარა წესი აუგეს აგრეთვე თვითონ სადგურზე... და და-სასრულ „წმინდაო ღმერთოს“ გალობით შეასვენეს კუბო საა-მისოდ მოშნადებულ ვაგონში და თავ-ფეხთით სანთლები დაუნთხეს“.

ასევე აღიწერა პოეტის ნეშტის მდგომარეობა 1938 წელ-საც, დიდუმიდან მთაწმინდაზე გაღასვენებისას:²

¹ ამონწერიში აღნიშვნული ნივთები, რომელიც პოეტის კირისულუალშა ბ-ნ ალექსანდრე ჭყონიაშ ჩაიბარა—ორი ლილი და ცალი ლანჩა,—ამჟამად ლაცულის საქართველოს ლიტერატურის მუშეუმის ფონდებში და საოუ-თად ინიცირდა.

² ი. გამ. „კომუნისტი, 1938. 16 ოქტომბერი, № 238, გვ. 4. „ბართა-შეილის ნეშტის გადასცენება“.



27. ს. ბოლოვანის ცემენტის კომპანიის გუბერნიანი კოლეგიის 2 მიუხედავი ბიუროს მიერთების 1908 წელი. ყველაზე უფრო უფრო (მარცხნივ მარჯვნივ) ა. ვასილავა, ს. ალექსანდრე, ს. ლეიმანი, გ. სტენის სახელი (მოგზაური), ა. სირენელია ვა. ლეიმანი, გ. ლეიმანი, კ. ლეიმანი, ა. ალექსანდრე, ა. მოგზაური, გ. ბერძენიშვილი, მარა კა. ლეიმანი, კ. ლეიმანი, კ. ლეიმანი, კ. ლეიმანი, კ. ლეიმანი; ს. ლეიმანის სამი დანა მარა ს. ლეიმანი, იმ. ლეიმანი.

„პროფესორ ვლადიმერ ულენტის მეთაურობით¹ მოხდა ნ. ბარათაშვილის ნეშტის მეცნიერულად შემოწმება. პოეტის ჩონჩხი მთლიანად შენახული აღმოჩნდა, სახსრებითა და ნაწილებით. ჩონჩხის აღდგენის სურათი იდასტურებს, როგორ ნ. ბარათაშვილი საშუალო ტანისა და ძვალმსხვილი კაცი ყოფილი. როგორც ცნობილია, ნ. ბარათაშვილი ოდნავ კოჭლი იყო. მეცნიერულმა ექსპერტიზამ ფეხის მარცხენა ქვედა კიდურზე დაადასტურა დაკოფიერდა. თავის ქალა საშუალო წომისაა, კარგიდ შენახული. კუბიში აღმოჩნდა აგრეთვე ძველებური ქართული ფეხსაცმლის ლანჩა და ქუსლი, აგრეთვე პოეტის ტანიაცმლის ერთი თითბერის ლილი“.

ეს მონაცემები ჩონჩხის მდგომარეობისა და თანამედროვა მედიცინის მიღწევები გვარწმუნებენ, რომ შესაძლებელია სასურველი შედეგის მიღწევა. ამ საქმეში შეიძლება დაგვეხმაროს ორი დიდი ინსტიტუტი. ესენია:

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ნ. ნ. მიკლუხო-მაკლაის სახელობის ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, თავის ქალას საშუა-

1 როგორც ნეშტის შესწავლის დროს შედგენილ აქტიდან ჩანს, პროფ. ელ. გლენტის თან იხლდა (და აქტის ხელს აწერს) დოცუნტი (აშემად შევი დვაწმოსილი პროფესორი) არყადი ბესარიონის ტე ჭორბენაძე, რომელმაც გალმოდგინედ ააწყო პირის ჩონჩხი და საფუძვლიანად შეისწავლა იყო.

ცნობისმოყვარეობაშ არ მომასცენა და პირადად ვინახულე პროფ. არ. ჭორბენაძე; ვთხოვე გამბნა ამ საინტერესო ებიზოდზე თავისი მეშაობილან. მან განაცხადა: „დიდი დაძაბულობა და ინტერესი იგრძნობოდა დამსწრე პირთა შორის დიდების პანთეონში ნიკ. ბარათაშვილის საფლავის გახსნის დროს. როდესაც ჩონჩხი სატლავილან მოვიდეთ, მაგიდან დავაწყევ და შევუდექი მის აწყობას, მწერალთა შორის დიდი ლელვა იყო, მოუთმონად ელოდნენ ფეხების ძვლების აწყობას, რომ შეეტყოთ ფეხის ძვლების იმ ნიშანდობლივ მდგომარეობაშე, რომელიც მას უნდა ჰქონიდა, რადგან ნიკოლოზს მავშვაბისას სკოლის კიბიდან გაღმოყარდნის გამო ფეხები დაუშვედა. როდესაც ჩონჩხი ავაწყევ, ნათლად შეიმჩნეოდა მარცხენა ქვედა კიდურის წევიკოჭის მიღამაში ძვლების დაკოფიერება. როდესაც დამსწრეთ ამის შესახებ მოკახსენე, მათში დიდმა სიხარულშა და კმართულებამ იფეხქა, ეჭვი არ იყო, რომ იგი ჩეენი ძეირუასი პოეტის ნეშტი იყო“. (იხ. სურ. 28).



28. პროფ. ა. ჯორბენაძე ნიკ. ბარათაშვილის ჩონჩხის აღდევნაზე.

ლეგით სახის რბილი ნაწილების აღდგენის ღამორიატორიზაციული ჩელმძღვანელობდა პროფ. მ. მ. გერასიმოვი (გარდაიცვალა 1969 წ. 27 მარტს).

ლენინგრადის ბირეველი სამედიცინო ინსტიტუტის რენტგენოლოგიისა და რადიოლოგიის ღამორიატორია და ასაკობრივი ოსტეოლოგიის, პათოსტეოლოგიისა და პალეოპათოლოგიის მუზეუმი (ღამორიატორიისა და მუზეუმის გამგე—სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფ. დ. გ. როსლინი).

მათი დახმარებით შესაძლებელია სრული სიზუსტით დადგინდეს: მიცვალებულის ერთვნება, სქესი, ასაკი გარდა ცვალების მომენტი, დაკრძალვისას გასული დრო და, რაც მთავარია, აღდგენილ იქნას გარსაცვლილის პორტრეტი.

გ ი რ ა რ ს ი

ნიკოლოზ გარათაშვილის	
სრულის თავმართვილდებული მდგრადი	3
თემამცველისეული მდგრადი და	
ნიკოლოზ გარათაშვილის პორტრეტის	
აღდგენის ფლეჩი	12
„თემამცველისეული მდგრადი“	
უცნობი ეგზოგრაფის ლაიბრერია	24
ნიკოლოზ გარათაშვილის სრული	
რომის ჩართულ კათოლიკოს მონასტერი	30
ორი „უცნობის“ სრული გარათაშვილისა და	
ორგებისანის საოცენებო კოლექციისა	40
ნიკოლოზ გარათაშვილის	
ფირზორული პორტრეტი მრავალი	53
ნიკოლოზ გარათაშვილის პორტრეტის	
აღქვენის წრილი საიმპრენ გზა	69

რედაქტორი შ. სულაბეგიძე
გამომც. რედაქტ. ნ. ქართველი შვილი
მხატვარი დ. გრიგოლი
მხატვრული რედაქტორი გ. ლონტი
რექნიკური რედაქტორი ლ. ქვარცხავა
კონტრ-კორექტ. დ. კილან დარიშვილი
კორექტორი ნ. ვაჟა თრია
გამომშევდი ი. ხაჩიძე

გადაეცა წარმოებას 5/IV-73 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდით 15/XI-73 წ.
ანაზუობის ზომა 5,5×9
ქაღალდის ზომა 60×84¹/₁₆
ნაბეჭდი თაბაზი 4,65
საღრიცხვო-საგამომცემლო თაბაზი 4.12
შე 00305 ტირაჟი 10.000 შეკვ. № 1266
ფასი 39 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული”,
თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5
Издательство «Накадули», Тбилиси, ул
Марджанишвили № 5

თწყოთ და ოყინდა საქართველოს სსრ მი-
ნისტროთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრა-
ფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწი-
ფო კომიტეტის № 2 სტამბაში, თბილისი, ულ-
ცელაძის ქ. № 5.
დაიბეჭდი თბილისის ფერადი ბეჭდვის სტამ-
ბაში, პლეხანოვის პრ. № 50.

Набрано и сброшюровано в типографии
№ 2, Государственного Комитета Совета
Министров Грузинской ССР, по делам из-
дательств, полиграфии и книжной Торговли,
Тбилиси, ул. Пурцеладзе № 5.

Отпечатано в Тбилисской типографии
цветной печати, пр. Плеханова, № 50.

320/28



Чачанидзе Василий Илларионович

О портрете Николоза Бараташвили

(На грузинском языке)

Детиониздат Грузинской ССР
«Накадули», Тбилиси, 1974

